ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 30 აგვისტო, 2021 №160 (8689) ფასი: 60 თეთრი

## „ჩემი ქმარი კლინიკაში თავისი ფეხით მივიდა და ფიცრით გამოგვისვენეს“

გვ.5



გარდაცვლილი დედა-შვილის ოჯახი ჩივილს აპირებს

# „არჩევნებამდე ბოლო ორ კვირაში გახარიაზე უამრავ იერიშს მიიტანენ“

გია ხუხაშვილი: „ვადამდელს პრეზიდენტი ვერ დანიშნავს, მაგრამ ამ თამაშში მისი პოზიცია უმნიშვნელოვანესი იქნება“



„თუ „ოცნებამ“ 43% აიღო, ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციის სისუსტის ფონზე არჩევნები იყიდა და არა იმას, რომ ლეგიტიმაცია აქვს“



გვ.2

## „სააკაშვილ-კეზერაშვილს ივანიშვილზე მეტი ფული აქვთ“

სოსო შატბერაშვილი: „კარგი იქნება, არჩევნები ნოემბრისთვის თუ გადაიდება“



გვ.4

## „შალვა პაპუაშვილი პოლიტიკოსი რომ იყოს, პასუხს გავცემდი“

მურმან დუმბაძე: „რვა წელზე უფრო დიდხანს ვინც მოინდომა ხელისუფლების შენარჩუნება, ის ხალხმა კინწისკვრით გააგდო“



გვ.3



## მეუფე იაკობი: „ერთმანეთი ხომ არ უნდა დავჭამოთ?“

გვ.4



## პრეზიდენტი: „აცრა ცოდვა კი არა, სამოქალაქო ვალდებულება და პატრიოტიზმის გამოხატულებაა!“

გვ.3

## ოთარ შამუგია: „დასეტყვილი ყურძნის ჩასაბარებლად ყველა ღონისძიება უკვე გატარებულია“



გვ.2

## „გარდენია“ ქორწილის გამო 2.000 ლარით დაჯარიმდა და დაილუქა

გვ.5



ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 „ჩემს ცოლს დანა მოვუქნიე და მხარში გავარტყი, ის მაგიდასთან ჩაიკეცა“

3 შვილმა გორელმა ბიზნესმენმა „ოცნებას“ ფული ერთდროულად გადაურიცხა

5 პოლიციამ დიდი ოდენობით იარაღი ამოიღო

3 პირი დააკავეს

6 ერდოღანი: „თურქეთი მზად არის სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის“

# „არჩევნებამდე ბოლო ორ კვირაში გახარიაზე უამრავ იერიშს მიიტანენ“

## გია ხუხაშვილი: „ვადამდელს პრეზიდენტი ვერ დანიშნავს, მაგრამ ამ თამაშში მისი პოზიცია უმნიშვნელოვანესი იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

**მივა თუ არა საქმე იქამდე, რომ რეალურად დადგეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნა? რა როლი ექნება აქ თამაშში პრეზიდენტს და რა დასავლეთს? რა იძულების მექანიზმი შეიძლება იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ვადამდელი დანიშნოს თუ ის 43%-ს ვერ აიღებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**



**„თუ „ოცნებამ“ 43% აიღო, ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციის სისუსტის ფონზე არჩევნები იყიდა და არა იმას, რომ ლეგიტიმაცია აქვს“**

***— ოპოზიციიდან თითქმის ყველა საუბრობს ვადამდელ არჩევნებზე, მაგრამ დღეს რა რეალობასაც ვხედავთ, იძლევა თუ არა საფუძველს, რომ ეს რეალობა დადგება — თუ 43%-ზე ნაკლებს მიიღებს „ოცნება“ და როგორ წაიყვანონ ვადამდელის დანიშვნაზე, როცა მან დატოვა მიშელის შეთანხმება?***

— არ ვიცი. ბევრ რამეზეა დამოკიდებული. სურათი ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანია. გასაგებია, რომ ხელისუფლებას აქვს უპირატესობა, მაგრამ ხელისუფლების უპირატესობა ორი ფაქტორის კომბინაციაა. ერთი არის, რომ მათ მონოპოლიზებული აქვთ რესურსები. ადგილობრივი არჩევნები, როგორც წესი, არის რესურსების არჩევნები — ვის ექნება შესაძლებლობა. ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა ქვეყანაში და ეს ხელისუფლებას აძლევს გარკვეულ უპირატესობას.

მეორე უპირატესობა არის ის, რომ თვითონ ოპოზიციის საარჩევნო კამპანია არ არის ეფექტური. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ჩვენ რასაც ვუყურებთ, ასეა.

***— ფაქტობრივად არც ჩანს და ამასაც ეფუძნებოდა ჩემი კითხვა.***

— კი. ის დინამიკა და ის მუხტი არ არის, რაც არის ხელისუფლების ცვლილების ნაწილთან დაკავშირებული მოლოდინი, ეს არ არის. ეს კომბინაცია ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, გარკვეულ უპირატესობას აძლევს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ლეგიტიმურია. მას მხარდაჭერა აშკარად არ აქვს და თუ მათ გადალახეს 43%, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მათ მხარდაჭერა აქვთ, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის სისუსტის ფონზე მათ იყიდეს არჩევნები. ასეთი მოცემულობაა.

ახლა, დამთავრებულია თამაში? — არა მგონია, რომ დამთავრებული იყოს, რადგან რეალურად ამომრჩევლის უდიდესი უმრავლესობა უკმაყოფილოა ხელისუფლების მოქმედებებით. არა იმდენად პოლიტიკურ პრიზმაში, არამედ უფრო სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტის კუთხით. ეს არის სოციალური პრობლემები, პანდემიის მართვა, უმუშევრობა და ა. შ. ეს აწუხებს ამომრჩეველს.

შესაბამისად, ამომრჩეველს უნდა ხელისუფლების ცვლილება, მაგრამ ხელისუფლება რომ შეიცვალოს, შენ უნდა შეცვალო უკეთესით. ანუ, შენ უნდა გქონდეს უკეთესი შეთავაზება პოლიტიკურ ბაზარზე — ვიღაცა უნდა მოვიდეს, დაგარწმუნოს, რომ ის შენ პრობლემებს უკეთესად გადაწყვეტს. სწორედ აქ ჩნდება პრობლემა. თუ ოპოზიციამ მოახერხა და მივიდა ხალხთან, დაარწმუნა, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ ხელისუფლებას აქვს პრობლემა.

ხელისუფლებას აქვს კიდევ ერთი პრობლემა და ეს არის გახარიას ფაქტორი, რომელიც მას ართმევს შესაძლებლობას, რომ ე. წ. სამობილიზაციო ამომრჩეველი ისევ დააყენოს არჩევანის წინაშე ცუდსა და უარესს შორის ორპოლუსიანობის ბაზარზე. ამ „იდილიას“ არღვევს გახარიას პარტია, რომელსაც ე. წ. სამობილიზაციო ელექტორატი მიჰყავს. ელექტორატის ის სეგმენტი — ოღონდ მიშა არა და ისევ ესენი იყვნენ, გახარიას მიჰყავს.

***— ამიტომ ესხმიან გახარიას განსაკუთრებულად თავს? მათ შორის, პრემიერიც გამოირჩა ბოლო დღეებში ამით.***

— რა თქმა უნდა. მათი მთავარი პრობლემა ოპოზიცია არ არის პოლიტიკურ მოზაიკაში. მათი მთავარი პრობლემა არის გახარია. ველოდები, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში უამრავ შეტევას განახორციელებენ სწორედაც რომ გახარიაზე, რათა როგორმე დატოვონ ის თამაშგარე მდგომარეობაში.

***— ოპოზიციამ როგორ უნდა აიძულოს ხელისუფლება, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს?***

— მოდით ასე ვთქვათ, თუ ავიღებთ მოცემულობას, რომ ხელისუფლებამ ვერ გადალახა 43%, იძულება ხდება ამ შემთხვევაში. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ისევ დანერგავს ნიჰილიზმს ხელისუფლების ცვლილებისა თუ რიგგარეშე არჩევნების მიმართ. შესაბამისად, ხალხმაც წინასწარ ხელი ჩაიქნიოს და მერე ადვილად გაიყიდოს. გადალახოს ხელისუფლებამ 43%-იანი ბარიერი და მერე თქვას, მე არაფერი არ დამირღვევიაო.

***— თუ ვერ გადალახა, მაშინ როგორ უნდა აიძულონ ვადამდელზე წასვლა?***

— თუ ვერ გადალახა, ამ შემთხვევაში მათ აქვთ სისტემური პრობლემა. პირველ რიგში ეს არის ის, რომ კარგავენ ლეგიტიმაციას. მათ შეექმნებათ პრობლემა არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების მხრიდან, რომელიც მას ფაქტობრივად უარს ეტყვის მმართველობაზე, არამედ პრობლემა შეექმნებათ იგივე ჩვენ დასავლელ პარტნიორებთან. დღემდე დასავლელი პარტნიორები არ აქტიურობდნენ. იცით რატომ? — იმიტომ, რომ ისინი ხედავენ, როგორც იქცევა ხელისუფლება, მაგრამ არ თვლიან, რომ ხელისუფალი გასულია ამ შეთანხმებიდან. საერთოდ, სახელშეკრულებო სამართალი უპირობოდ ხელშეკრულების დატოვებას არ ცნობს. რაღაც დათქმებით ხდება ეს ყველაფერი და რაღაც ფასია გადასახდელი. რაც შეეხება იმას, რატომ დუმან დასავლეთში, ეს იმიტომ ხდება, რომ შეთანხმების დარღვევის ფაქტი ჯერ არ დამდგარა. არჩევნები ჯერ არ შემდგარა.

მთავარი არის არჩევნების დღე და მიღებული შედეგი. შესაბამისად, 43%-ის ვერმიღების შემთხვევაში ხელისუფლება აღმოჩნდება ფაქტობრივ იზოლაციაში. არა მხოლოდ შიდაპოლიტიკური გაგებით, არამედ საერთაშორისო გაგებითაც. თუ ისინი შეთანხმებას არ შეასრულებენ, რაზეც ხელი აქვთ მოწერილი. ეს არ არის უბრალო შეთანხმება. კი, ჩვენ ამ ხელისუფლებისგან არაერთი გადაგდება გვინახავს, მაგრამ ის იყო რიტორიკული დაპირება. აქ უკვე ფაქტობრივად საერთაშორისო ხელშეკრულებაა გაფორმებული. იქიდან გასვლა ასე მარტივი არის. დასავლეთი უკვე უშვებს თავშეკავებულ გზავნილებს ამ მიმართულებით. იგივე საფინანსო დახმარებებთან დაკავშირებით და ეს არის მხოლოდ ანონსი.

***— თუ ხელისუფლება პირობას არ შეასრულებს, აამოქმედებს?***

— აუცილებლად.

***— პრეზიდენტისგან რას ელოდებით ამ შემთხვევაში?***

— გაგიკვირდებათ და პრეზიდენტს ვერ ვცნობ, თითქოს გამოცვალეს ეს ადამიანი. ის გახდა ძალიან ადეკვატური და მის პოზიციაში გამოჩნდა სახელმწიფო ინტერესების დაცვა. არა პარტიულ კონენქტურული, არამედ სახელმწიფო ინტერესის დაცვა. ხშირ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო.

***— ასეთ შემთხვევაში დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს?***

— ამის უფლება არ აქვს მას. მისი კონსტიტუციური ფორმატი ძალიან შეზღუდულია და ვერაფერს ვერ დანიშნავს. იმიტომ, რომ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ხელისუფლების ნების გარეშე შეუძლებელია, იქნება ეს ნებაყოფლობითი თუ იძულებითი. იმიტომ, რომ ძალიან რთული მექანიზმია. მაგრამ მისი პოზიცია ამ პოლიტიკურ დიდ თამაშში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

## ლევან იოსელიანი: „თუ საქართველომ მაკროფინანსური დახმარება ვერ მიიღო, პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება“

— თუ საქართველომ ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარება ვერ მიიღო, ამაზე პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება — ევროკავშირის წარმომადგენლები აფრთხილებდნენ „ქართულ ოცნებას“, რომ ეს დახმარება კავშირშია იმ რეფორმებთან, რომლებზეც პასუხისმგებლობა აიღეს.

ამის შესახებ „მოქალაქეების“ დეპუტატმა ლევან იოსელიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მაკროფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით ოპოზიციის განცხადებებს.




როგორც მან აღნიშნა, მნიშვნელოვანია, „ქართულმა ოცნებამ“ ბოლომდე მიიყვანოს ის რეფორმები, რომლებზეც პასუხისმგებლობა აიღო.

— ტექნიკური ხარვეზის გამო სრულფასოვნად ვერ მივიღე შეხვედრაში მონაწილეობა, რადგან ჩართვით ვესწრებოდი ამ შეხვედრას, დეტალები არ ვიცი, თუმცა დაახლოებით ინფორმაცია მაქვს, თუ რაზე იყო იქ საუბარი. მნიშვნელოვანია, საქართველომ გააგრძელოს ის გზა, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი მოკავშირის — ევროკავშირის ის დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის გააჩნდა. ამ დახმარების დაკარგვა ეს არ იქნება პარტიის დახმარების დაკარგვა, ამ თანხას დაკარგავენ მოქალაქეები, რომლებსაც ის ეკუთვნის, ამ თანხას ევროკავშირი უგზავნის სახელმწიფოს და არა რომელიმე პარტიას.

თუ საქართველომ ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარება ვერ მიიღო, ამაზე პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება, რადგან ყოველთვის, ყველა დონეზე ევროკავშირის წარმომადგენლები აფრთხილებდნენ „ქართულ ოცნებას“, რომ ეს ფინანსური დახმარება კავშირშია იმ რეფორმებთან, რომლებზეც პასუხისმგებლობა აიღეს და უნდა გაატარონ ამ ქვეყანაში, საუბარია სასამართლო რეფორმაზე, საარჩევნო რეფორმაზე, რომელიც დიდწილად განვახორციელეთ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, პარლამენტს შიგნით ოპოზიციის გაძლიერებაზე და ა.შ. — განაცხადა იოსელიანმა.

## ოთარ შამუგია: „დასეტყვილი ყურძნის ჩასაბარებლად ყველა ღონისძიება უკვე გატარებულია“

— დასეტყვილი ყურძნის ჩასაბარებლად ყველა ღონისძიება უკვე გატარებულია, 3 საწარმო შეუფერხებლად იღებს დაზიანებულ მოსავალს.

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ოთარ შამუგიამ განაცხადა.



მისივე განმარტებით, მევენახეების უპირველესი თხოვნა იყო, რომ სახელმწიფო მათ დასეტყვილი ყურძნის ჩაბარებაში დახმარებოდა.

— დასეტყვილი ყურძნის ჩასაბარებლად ყველა ღონისძიება უკვე გატარებულია. ჩვენ გუშინვე გავხსენით 3 საწარმო ყვარლის, გურჯაანის და თელავის რაიონში, რომელიც შეუფერხებლად იღებს დასეტყვილ ყურძენს. ფასი რქაწითელის შემთხვევაში 80 თეთრია, ხოლო საფერავის — 1 ლარი, — აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ფართობები, სადაც 100%-ით დაზიანებულია ვენახი და მოსავლის აღება ვერ ხდება, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მევენახე ფერმერები 3.000 ლარის ოდენობის კომპენსაციას მიიღებენ. როგორც მინისტრის მოადგილემ განმარტა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის განვითარების სააგენტო ასევე აქტიურად მუშაობენ სადაზღვევო კომპანიასთან, კოორდინირებულად ხდება იმ ფართობებზე ზარალის ოდენობის დადგენა, რომელიც დაზღვეულია, რათა დროულად მოხდეს შესაბამისი ანაზღაურება.

26 აგვისტოს ძლიერმა სტიქიამ კახეთის რეგიონში, დაახლოებით 24 სოფელში, 4.600 ჰექტარი ვენახი დააზიანა.

სახელმწიფო საწარმომ „მოსავლის მართვის კომპანია“ სეტყვისგან დაზიანებული ყურძნის ჩაბარება 27 აგვისტოდან დაიწყო და 3 სექტემბრის ჩათვლით გააგრძელებს.

## შალვა პაპუაშვილი: „ირაკლი კობახიძე არის მთავარი ადამიანი ამ არჩევნების დროს“



— ირაკლი კობახიძე არის მთავარი ადამიანი ამ არჩევნების დროს.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, რატომ არ აქტიურობს ირაკლი კობახიძე მმართველი გუნდის წინასაარჩევნო კამპანიაში.

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, კობახიძე მმართველი გუნდის ლიდერია.

— ირაკლი კობახიძე გახლავთ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და საარჩევნო კამპანიის შტაბის თავმჯდომარე. ამიტომ ის არის მთავარი ადამიანი ამ არჩევნების დროს, მათ შორის რამდენიმე დღის წინ იხილეთ ირაკლი კობახიძე კომენტარებით. ასე რომ, ირაკლი კობახიძე არის ჩვენი გუნდის ლიდერი, — განაცხადა პაპუაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შალვა პაპუაშვილი პოლიტიკოსი რომ იყოს, პასუხს გავცემდი“

## მურმან დუმბაძე: „რვა წელზე უფრო დიდხანს ვინც მოინდომა ხელისუფლების შენარჩუნება, ის ხალხმა კინწისკვრით გააგდო“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ოპოზიცია არა არჩევნებისთვის, არამედ 3 ოქტომბრისთვის ემზადება.***

– სერიოზული პოლიტიკოსები რომ ამბობდნენ ამას, მე მათ სერიოზულ პასუხს გავცემდი. ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი, არჩილ თალაკვაძე ამბობს ამას, რომლებიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში. 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩვენ ვიბრძოლეთ, გავიმარჯვეთ და ახლა ხელისუფლებაში აღმოჩნდა პაპუაშვილი, რომელიც ამბობს. სხვას რომ გაეკეთებინა ეს განცხადება, მაგალითად, გია ხუხაშვილს, რომელიც ექსპერტია პოლიტიკის, მას ვუპასუხებდი, მაგრამ შალვა პაპუაშვილს რა ვუპასუხო, რომლის უმთავრესი ამოცანაც თბილი სავარძლის შენარჩუნებაა.

არ არსებობს არავითარი შანსი, თეორიულიც კი, რომ „ქართული ოცნება“ 2 ოქტომბერს ხელისუფლებაში დარჩეს.

***– რატომ?***

– საქართველოში ხალხი ერთ მმართველს ორ ვადაზე მეტ ხანს ვერ იტანს. საქართველოს მოქალაქეს ხელისუფლება ოთხ წელიწადში სწყინდება. რვა წელზე უფრო დიდ ხანს ვინც მოინდომა ხელისუფლების შენარჩუნება, ის ხალხმა კინწისკვრით გააგდო. გაიხსენეთ შევარდნაძე. სააკაშვილი თუ არ აღიარებდა 1 ოქტომბერს დამარცხებას, მაშინ, გარწმუნებთ, რევოლუციით მოუწევდა წასვლა.

***– თუმცა, ორივე შემთხვევაში სერიოზული ალტერნატივა არსებობდა. ახლა არსებობს ასეთი ალტერნატივა?***

– ალტერნატივა ყოველთვის არსებობს. დღეს ოპოზიციის სახით არსებობს რეალური ალტერნატივა, მაგრამ თუ ბიძინა ივანიშვილი წააგებს არჩევნებს და არ დათმობს ხელისუფლებას, მოხდება რევოლუცია. ვერავითარი ძალა მას ვერ უშველის.

თუ ფიქრობთ, რომ 2002 წლის არჩევნებზე „მოქალაქეთა კავშირმა“ ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე სააკაშვილმა, ასე არ არის. დაახლოებით იდენტური ხმები იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაყალბება მოინდომა შევარდნაძემ. მე არ ვამბობ, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერები არ ჰყავს, არც იმას არ ვამბობ, რომ სახელისუფლო რესურსი არ იქნება გამოყენებული, არც იმას, რომ ბიზნესი გაგიჟდება და ოპოზიციას დაუჭერს მხარს, არა, პირიქით, „ოცნებას“ დაუჭერს მხარს, მე ვამბობ, რომ რეალური სურათი არის ის, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა. ოპოზიციამ ჯამში მიიღო ერთი მილიონი ხმა, 600 ათასი ხმა „ოცნებამ“. 2020 წლის 31 ოქტომბერსაც იგივე მოხდა. მე არ ვამბობ არჩევნები გაყალბდა, მე ვამბობ, ივანიშვილმა მიიღო 48% ოპოზიციამ ჯამში 52%. ამდენად, რეალური ოპონენტი არ ჩანს – ასე არ არის.

***– გახარიას ოპოზიციის ნაწილად განიხილავთ თუ სამომავლოდ თანამშრომლობა დაგჭირდათ?***



– გახარია ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე ვერ იქნება. სანამ 20 ივნისის დანაშაულს არ აღიარებს და არ იტყვის, ვინ გასცა ბრძანება, მანამდე ვერ ვიტყვი, რომ ის ოპოზიციაა. თუმცა, მოცემულ ეტაპზე ის ნამდვილად არის ოპოზიციის ტაქტიკური პარტნიორი. ყველა მისი პოტენციური ხმა, არის „ქართული ოცნების“ ყოფილი ხმა.

***– ამით ხსნით „ოცნების“ ლიდერების გაბრაზებას გახარიასადმი?***

– დიახ. ყველა ხელისუფლება აკეთებს შიდა კვლევებს და მათ შორის, ასეთ კვლევებს აკეთებენ „ოცნებაში“. მათ კარგად იციან, რაც მოხდა. „ქართული ოცნების“ ძველი მხარდამჭერები გახარიამ წაიყვანა და ამაზე ძალიან გაბრაზებულები არიან. ამდენად, რასაკვირველია, გახარია ჩვენი ტაქტიკური მოკავშირეა. ის ფაქტი, რომ მე გახარია შევიყვარო, როგორც ოპოზიციონერი, არ გამოვა. ჯერ მან უნდა დაამტკიცოს, რომ ოპოზიციაა.

***– როგორ?***

– უნდა თქვას, „ოცნება“ სახლში უნდა წავიდეს და ბიძინა ივანიშვილი პასუხისგებაში მიეცეს 20 ივნისი გამო. მაშინ გამოვალ და ვიტყვი, რომ გიორგი გახარია ოპოზიციაა. ჯერ მან ეს ვერ დაამტკიცა.

***– არჩევნებზე მივა ხალხი?***

– მერწმუნეთ, ეს სიჩუმე ბევრად უფრო საგანგაშოა „ქართული ოცნებისთვის“. ერთი სული აქვს ხალხს, როდის გათენდება 2 ოქტომბერი. რა თქმა უნდა, მივა. ხალხი მივა და თავის სიტყვასაც იტყვის. ახლა ლარის კურსი კბილებით უჭირავთ, მაგრამ 3 ოქტომბერს, ნახეთ, როგორ ავარდეს ლარი. ბენზინი ოთხი ლარი ხდება. ეპიდსიტუაციის მხრივ კატასტროფა ხდება ქვეყანაში. ამ ყველაფერს ხალხი ძალიან პრინციპულ პასუხს გასცემს მარტივად.

ისედაც, ყველაფერს შეიძლება მოუგო, მაგრამ მოუგო დროს, ეს არის შეუძლებელი. 9 წელი გავიდა და ვერანაირი შედეგი ვერ დადო ამ ხელისუფლებამ. ერთი პოლიტიკური რეფორმა ვერ ჩაატარა. გაბედული ადამიანები გვჭირდება და არა პაპუაშვილი და კობახიძე, რომლებიც არავინ იცის, სად იყვნენ სააკაშვილის ხელისუფლების დროს. რატომ არ გამოვიდნენ და რატომ არ გააპროტესტეს სააკაშვილის მმართველობა. სად იყვნენ? ამ ადამიანებს ყველას თავისი ცხოვრება და სავარძელი აინტერესებს და არა ამ ქვეყნის მომავალი და რეფორმა.

# პრეზიდენტი: „აცრა ცოდვა კი არა, სამოქალაქო ვალდებულება და პატრიოტიზმის გამოხატულებაა!“

– როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, მაქვს განსაკუთრებული მოვალეობა დაგარწმუნოთ ყველა: ერი და ბერი, ექიმი და ექთანი, პედაგოგი და სტუდენტი, დიდი და პატარა, რომ აცრა, ცოდვა კი არა – სამოქალაქო ვალდებულება და დღევანდელ დღეს პატრიოტიზმის უდიდესი გამოხატულებაა! თავისუფლება არ ნიშნავს სხვისი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენების თავისუფლებას!

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიმართვაში აცხადებს.

როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, აცრაზე უარის თქმა სხვებსაც უქმნის საფრთხეს.

„მინდა ყველას მოგილოცოთ დღეს მარიამობა, ვულოცავ ყველა მარიამს, ჩემს პატარა მარიამს და სრულიად საქართველოს!

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული მართლმადიდებლებისთვის ერთ-ერთი მთავარი დღესასწაულია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველებისთვის!

როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, საქართველო მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება და მით უფრო, დღევანდელი განსაცდელის დროს, ჩვენ მას ვებარებით.

თუმცა, ეს არ ნიშნავს და არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ, ჩვენი ოჯახების, ახლობლებისა და ჩვენი პატარა ქვეყნის მომავალი თაობების გადასარჩენად, არ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, ყველაფერი რისი საშუალებაც გაგვაჩნია ჩვენ პირადად თუ კოლექტიურად. ეს ნიშნავს დაცვის ყველა საშუალების გამოყენებას: პირბადის ტარებას, დისტანციის დაცვას, თავყრილობებისგან თავის შეკავებას.

რა ფასი უნდა ჰქონდეს ქორწილს, დაბადების დღეს ან ქელეხს, თუ მას მოჰყვება ჩვენი ახლობლების ინფიცირება, მძიმე დაავადება და შესაძლო გარდაცვალება.

ერთი მხრივ, საკუთარ თავზე ეგოისტურად რაღაცების გვეშინია და მეორე მხრივ, საკუთარ თავზე ვიღებთ სხვისი ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ დაყენების უდიდეს პასუხისმგებლობას.

აცრაზე უარის თქმა სხვებსაც უქმნის საფრთხეს და დღეს უკვე ვხედავთ, რომ ეს საფრთხე ჩვილ ბავშვებსა და ორსულ ქალებს, ანუ ჩვენი ქვეყნის მომავალს ემუქრება. არ შეიძლება არ დავინახოთ, რამხელა საფრთხეს წარმოადგენს ეს ჩვენი ქვეყნისა და მისი დემოგრაფიული მდგრადობისთვის.

არ შეიძლება არ გავიმეორო თუ რამდენად აუცილებელია აცრა, რამდენად გვიცავს ის დაავადების, ინფიცირების შემთხვევაში, მძიმე გართულებებისა და გარდაცვალებებისგანაც კი.

არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ უარყოფითი პროპაგანდა, რომელიც ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს და ცრუ შიშებს ბადებს, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშავდება და ვრცელდება.

ამიტომ მიმაჩნია, რომ როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, მაქვს განსაკუთრებული მოვალეობა დაგარწმუნოთ ყველა: ერი და ბერი, ექიმი და ექთანი, პედაგოგი და სტუდენტი, დიდი და პატარა, რომ აცრა, ცოდვა კი არა – სამოქალაქო ვალდებულება და დღევანდელ დღეს პატრიოტიზმის უდიდესი გამოხატულებაა! თავისუფლება არ ნიშნავს სხვისი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენების თავისუფლებას!



მეკითხებიან, არჩევნებზე რას ფიქრობთ. პასუხი მარტივია: აქაც ჩვენზეა დამოკიდებული თუ რამდენად პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ამ საქმეს. ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის სტაბილურობას არ წაადგება არჩევნების გადატან-გადმოტანა და, როგორც 2020 წელს შევძელით, დღესაც უნდა იყოს შესაძლებელი შესაბამისი ზომების მიღება, რათა საარჩევნო უბანზე ყველა უსაფრთხოების ნორმა იყოს დაცული. თუმცა ვითარება გვიკარნახებს გადაწყვეტილებას – იმ შემთხვევაში, თუ ვერ შევინარჩუნებთ ტენდენციას სტაბილურობისაკენ, რაც ბოლო დღეებში შეიმჩნევა.

ვაქცინაციის მაღალი ტემპი არ უნდა შენელდეს, ყველამ უნდა გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და მჯერა, რომ შევძლებთ არჩევნებსაც და სკოლების ამოქმედებასაც. ერთიც და მეორეც ჩვენს ხელშია!“ – აცხადებს პრეზიდენტი.

# შვიდმა გორელმა ბიზნესმენმა „ოცნებას“ ფული ერთდროულად გადაურიცხა




„ქართული ოცნების“ ყულაბა კიდევ 63.000 ლარით შეივსო – 23 აგვისტოს, შვიდმა გორელმა ბიზნესმენმა მმართველ პარტიას ფული ერთდროულად გადაურიცხა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ღარიბაშვილის პარტია ბიზნესს არეკეტებს და აიძულებს, გაიღონ მსხვილი შემოწირულობები. ამ თანხას კი ოქტომბრის არჩევნებზე აგიტატორებს დაურიგებს.

– ეს ბიზნესმენები გარანტიას იქმნიან, რომ მათი ბიზნესის განვითარებას ხელს არაფერი შეუშლის. როდესაც სისტემა აიძულებს მოქალაქეს, ჩაიდინოს დანაშაული და დანაშაულისთვის იყოს მზად. რომ იმ პირობების აღსრულებას, რომლებსაც ისინი მეორე მხრიდან ელოდებიან, ჰქონდეთ გარანტირებული. ეს იქნება, მაგალითად, ტენდერის მოგება თუ გარკვეული პრივილეგიები, – ამბობს „პირველებთან“ კორუფციის მკვლევარი, ქეთი ენუქიძე.

მისი თქმით, დანაშაულის კვალის დაფარვის მცდელობაც კი აღარ ჩანს.

# ამირან გამყრელიძე: „ორსულების დაცვის ერთადერთი საშუალება არის აცრა“

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებ და ვთხოვ ყველა ორსულს, რომ აიცრან. რომელ თვეში იქნებიან, არ აქვს მნიშვნელობა, აუცილებლად ორჯერადად აიცრან.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ, „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისი განმარტებით, აცრა ორსულს კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევაში შემდგომი გართულებებისგან დაიცავს.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ორსულებთან მიმართებით პროტოკოლის შეცვლაზე მუშაობა მიმდინარეობს.

– მუშაობს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიც ჩართულია ჯანდაცვის სამინისტროს კოორდინირებით და გარკვეული ცვლილებები იქნება როგორც ატენატალური მეთვალყურეობის ეტაპზე, ისე ორსულობის პერიოდშიც. ზოგადად, ორსულობა მოწყვლადი მდგომარეობაა ამ ინფექციის დროს, განსაკუთრებით „დელტას“ შტამის შემთხვევაში.



სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში გახშირდა ორსულების ინფიცირება და რიგ შემთხვევაში, სავალალო გამოსავლით სრულდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალიან საყურადღებო სიტუაციაა.

დაცვის ერთადერთი საშუალება არის აცრა. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ და ვთხოვ ყველა ორსულს, რომ აიცრან. რომელ თვეში იქნებიან, არ აქვს მნიშვნელობა, აუცილებლად ორჯერადად აიცრან, რადგან აცრა ორსულს შემდგომი გართულებებისგან დაიცავს, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ნებისმიერი პოლიტიკური პარტია წინასაარჩევ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სქემ-მონაზონი მართა გვარამია კოვიდით გარდაიცვალა



საქართველოს საპატრიარქოს, რუის-ურბნისის ეპარქიის სქემ-მონაზონი დედა მართა (გვარამია) რამდენიმედღიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ კორონავირუსით გარდაიცვალა.

ინფორმაციას სოციალურ ქსელში „მსოფლიო საეკლესიო სიახლენი“ ავრცელებს.

# „სააკაშვილ-კეზერაშვილს ივანიშვილზე მეტი ფული აქვთ“

## სოსო შატბერაშვილი: „კარგი იქნება, არჩევნები ნოემბრისთვის თუ გადაიდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**მოახლოებულ არჩევნებსა და მძიმე ეპიდსიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარეს სოსო შატბერაშვილს.**



***– როგორც ჩანს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დანიშნულ დროს – 2 ოქტომბერს გაიმართება. არადა, მძიმე ეპიდვითარებაა, თქვენ რას ფიქრობთ?***

– არჩევნების ეს ვადა თავიდანვე აწყობდა მმართველ პარტიას. დარწმუნებული ვარ, რომ კოვიდსიტუაციის გამო ხელისუფლება არჩევნებს არ გადადებს. ჯობდა, არჩევნები დანიშნულიყო ოქტომბრის ბოლოს და არა დასაწყისში. პანდემიაც რომ არ იყოს, აგვისტო ტრადიციულად შვებულებებისა და არდადეგების თვეა. ამ დროს პარტიები ვერ ატარებენ წინასაარჩევნო კამპანიას. სექტემბერი საკმარისი არ არის. წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად ატარებენ დიდი შესაძლებლობების მქონე ორგანიზაციები – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალურ მოძრაობასაც დიდი რესურსები აქვს, მას ემსახურებიან დიდი ტელევიზიები, მას აქვს დიდძალი ფული.

***– მმართველ პარტიას გადადება ხელს არ აძლევს? ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ გადადება ხელს არ შეუწყობს ტაბილურობას ქვეყანაში.***

– სტაბილურობა არაფერ შუაშია. ოლიმპიადა გადაიდო და არჩევნების ერთი თვით გადადებაც შეიძლებოდა. ეს სტაბილურობას არ დააზიანებს. იქამდე ბევრი ადამიანი აიცრებოდა. „ქართულ ოცნებას“ აწყობს არჩევნების გამართვა 2 ოქტომბერს და ის ბოლომდე თავის პოზიციაზე დარჩება.

***– 2012 წლიდან მოყოლებული, ყოველი არჩევნების წინ, ერთმანეთის სპარინგპარტნიორები არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ახლა რა ხდება? ორივე ძალა ხშირად ახსენებს ასევე გახარიას.***

– ახსენებენ, მაგრამ გახარიას პარტია ვერ ქაჩავს ისე, რომ თუნდაც ნაციონალური მოძრაობის რეიტინგს მიუახლოვდეს. „ქართულ ოცნებაში“ გახარიას ხსენებას თავისი მიზანი აქვს. მმართველი პარტიის ლიდერები, პრემიერი მას ახსენებენ იმიტომ, რომ როგორღაც თავი გაიმართლონ მისი წასვლის გამო. გახარიას ჰყავდა მომხრეები, განსაკუთრებით, სამეგრელოში. თავისი გადადგომით მან დიდი დარტყმა მიაყენა „ქართულ ოცნებას“. როგორც გითხარით, გახარიას პარტია ჯერ სუსტია. მას არც პარტიული ტელევიზიები აქვს ნაციონალური მოძრაობასავით და არც ამდენი ფული.

**საქართველოსნაირი პატარა და სუსტი ქვეყნის პირობაზე კიდევ კარგად შემოიტანეს ვაქცინები**

***– ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული კვლევის შედეგით, გახარიას პარტია საკმაოდ ბევრს ხარჯავს.***

– მათაც აქვთ ფული, მაგრამ კეზერაშვილისა და სააკაშვილის მიერ საქართველოდან გატანილ თანხებს ეს არ შეედრება. ნაცმოძრაობას საკუთარი ბიზნესმენებიც ჰყავს. სხვას რომ თავი დავანებოთ, 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილს ხელი ჩაუვარდა 4 მილიარდი. ყველა თანხას თუ შევაჯამებთ, მივხვდებით, რომ სააკაშვილ-კეზერაშვილის (ნაცმოძრაობის) ხელში იმაზე ნაკლები ფული არ არის, რაც ივანიშვილს აქვს. გახარია ამათ ვერ გაეჯიბრება. გარდა ამისა, მოგვწონს ჩვენ თუ არა, ნაცმოძრაობაში არიან პოლიტიკოსები. მათი უმრავლესობა ხელისუფლებაშიც იყო და ოპოზიციაშიც. ეს გამოცდილი ხალხია. გახარიას პარტიაში ერთადერთი თვითონ გახარიაა პოლიტიკოსი. სხვები არ არიან პოლიტიკოსები და სუსტად გამოიყურებიან. „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობისთანა ოპოზიცია აწყობს. მას არ აწყობს ოპოზიციად გახარია, რომელმაც „ოცნების“ შიდა სამზარეულო იცის.

***– სამზარეულო იცის, მაგრამ ყველაფრის კრიტიკის უფლება ვერ ექნება. ისიც ბევრი რამის მონაწილეა.***

– მას მაინც შეუძლია ბევრ რამეზე პასუხის გაცემა. მაგალითად, თუ რამეს საყვედურობენ, მაგალითად, ანაკლიის პორტის პროექტის ჩაშლას ან ნამახვანჰესზე ნებართვას, სხვები სად იყვნენ?! თუ გახარია პრემიერობისას რამეს აშავებდა, „ოცნების“ პოლიტსაბჭო რატომ ხმას არ იღებდა?! ამიტომ ვამბობ, რომ „ქართულ ოცნებას“ მთავარ ოპოზიციად ისევ ნაციონალური მოძრაობა უნდა. მმართველ პარტიას სხვა სალაპარაკო არაფერი აქვს, თუ არა ნაცმოძრაობა. ნიკა მელიას ამუნათებენ იმის გამო, რომ ზუგდიდში მერობის კანდიდატად საკუთარი მამა წარადგინა. იხსენებენ სააკაშვილსაც, რომელმაც კანდიდატად საკუთარი ცოლი დაასახელა.

***– ე. წ. მესამე ძალაზე პრეტენზია ისევ ბევრს აქვს, თუმცა, ის ვერ ჩამოყალიბდა?***

– რასაკვირველია, მესამე ძალა ვერ ჩამოყალიბდა. გრიგოლ ვაშაძემ თავის პარტიას „მესამე ძალა“ დაარქვა, მაგრამ ის ვერანაირ მესამე ძალას ვერ ქმნის. ადრე „სტრატეგია აღმაშენებელი“ ჰქონდა. იცის, რომ დავით აღმაშენებელი ყველაზე სასახელო და რეიტინგული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. გამახსენდა, რომ სააკაშვილმა ფიცი დადო აღმაშენებლის საფლავთან. როცა დასჭირდებათ, დავით აღმაშენებლის სახელს იყენებენ. ამბობენ, რომ გიორგი ვაშაძეს გრიგოლ ვაშაძე – ნაცმოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე უერთდება. გრიგოლ ვაშაძე კი არა, ვაშაძეების მთელი საგვარეულო რომ ერთად შეიკრას, ესენი მესამე ძალას ვერ ჩამოაყალიბებენ.

***– როცა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები ახალი შექმნილი იყო, თქვენ იმედოვნებდით, რომ მალე საქართველოსაც ეშველებოდა. ახლა ვაქცინები შემოტანილია, მაგრამ უმძიმესი ეპიდსიტუაცია შეიქმნა. დაგვიანდა ვაქცინების შემოტანა?***

– მე არ ვიტყოდი, რომ ვაქცინების შემოტანა დაგვიანდა. საქართველოსნაირი პატარა და სუსტი ქვეყნის პირობაზე კიდევ კარგად შემოიტანეს ვაქცინები. მოგეხსენებათ, ჩვენ არ ვართ 50-მილიონიანი სახელმწიფო და ა. შ. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ვაქცინაცია აუცილებელია. მე აცრა გავიკეთე კიდეც. სამწუხარო ისაა, რომ არც ერთი ვაქცინა უნაკლო არ არის. ასტრაზენეკა უკუჩვენებას (თრომბს) იწვევს. ამაზე ავსტრიაში მომუშავე ექიმმა, სოსო ნანობაშვილმა ისაუბრა. ფაიზერში აბორტის მასალა შედის. ჩინური ვაქცინები უსაფრთხოა, დამზადებულია ტრადიციული მეთოდებით, მაგრამ იცავენ მხოლოდ 60%-ით. მე ვაქცინაციის მომხრე ვარ, აცრა ჩავიტარე, მაგრამ უკეთეს ვაქცინებს ვისურვებდი. ამ დღეებში შვილიშვილები ბორჯომსა და ბაკურიანში მყავდა გაყვანილი. გამახარა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტების სიმრავლემ. ერთმა რამემ კი ძალიან დამაფიქრა – ხალხი ნიღბებს არ ატარებს. 28 აგვისტო შვილიშვილებთან ერთად ბორჯომის პარკში გავატარე. პირბადე ეკეთა იქ მყოფი საზოგადოების 10%-ს. თქვენი გაზეთი კითხვადია და მინდა საზოგადოებას მოვუწოდო, დაიცვას რეგულაციები და გაიკეთოს პირბადე, თორემ, სიტუაცია ვერ გამოსწორდება. სიკვდილიანობით ევროპის სამეულში ვართ. დამაიმედებელი ისაა, რომ ისრაელში წარმატებით გადის გამოცდას კოვიდ 19-ის წამალი. მანამდე რეგულაციები და ვაქცინაცია უნდა გავაგრძელოთ.

# „ეს საქმე შსს-ს წინასაარჩევნოდ გაახსენდა“

## „გირჩი მეტი თავისუფლების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ზეწოლაზე საუბრობს



ზეწოლა და წინასაარჩევნო კამპანიაში ხელის შეშლა „ქართული ოცნების“ მხრიდან – გირჩი მეტი თავისუფლების წარმომადგენელი და ნაძალადევის რაიონში ოპოზიციის საერთო მაჟორიტარობის კანდიდატი ხელისუფლებას მის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებში ადანაშაულებს და ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ მას უსამართლოდ ებრძვის.

საქმე ის არის, რომ შსს-მ სასამართლოს მიმართა ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატის, ბადრი გრიგალაშვილის მიერ ნარკოპოლიტიკის გასაპროტესტებლად ორი ძირი კანაფის კულტივაციის საქმეზე.

გრიგალაშვილმა სასამართლოს ეზოში ორი ძირი კანაფი 13 ივნისს, გიორგი სლოევის მხარდასაჭერად დარგო, რომელიც მარიხუანას კულტივირების ბრალდებით არის დაკავებული.

გრიგალაშვილის განცხადებით, რამდენიმე თვის წინ მომხდარი ამბის გამოძიება პროკურატურამ ახლა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ მას წინასაარჩევნო კამპანიაში ხელი შეუშალონ.

# „დროას“ პარტიის ზუგდიდის ოფისი დააზიანეს

პარტიის „ელენე ხოშტარია – დროა“ ზუგდიდის ოფისი დააზიანეს.

ამის შესახებ ინფორმაციას თავად პარტია ავრცელებს.

პარტიის ინფორმაციით, გუშინ, 29 აგვისტოს, თანამშრომლებს ოფისის კარზე წარწერები დახვდათ, მათ შორის – „მკვლელი“.

როგორც პარტიაში აღნიშნავენ, ოფისის კარზე გაკრული სტიკერები დაზიანებულია.

# მეუფე იაკობი: „ერთმანეთი ხომ არ უნდა დავჭამოთ?“




– ვინც აიცრა, ის სხვას რომ ეჩხუბება რატომ არ იცრებიო, იმას რა აწუხებს, თვითონ ხომ აიცრა? ვისაც არ უნდოდა, მაინც არ იცრება. ერთმანეთი ხომ არ უნდა დავჭამოთ?

ამის შესახებ ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა მარიამობის დღესასწაულზე ქადაგებისას ბრძანა.

როგორც მეუფე იაკობი აღნიშნავს, ადამიანს ვერ დააძალებ გააკეთოს ის, რაც არ უნდა – ნებისმიერი ასეთი იძულება, სიკეთის მომტანი არ არის.

– დღეს, როდესაც ასეთი პანდემიაა, ნუთუ შეურიგებლობა შეიძლება? შეიძლება ერთი ნაწილი მეორეს ლანძღავდეს? ვინც აცრილია, სხვას ეუბნებოდეს, შენ რატომ არ იცრები, არ ხარ წესიერი ადამიანი, სხვებს აავადებ? ხოლო მეორე ნაწილი რას ეუბნება? ყველა თავისებურად, უდიერად მოიხსენიებს იმ ნაწილს. ასე არ შეიძლება, ადამიანები ვართ, ყველა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. თუ ვინმემ იცის, რომ რამის ნიშანია და დამანგრეველია, თქვას ხმამაღლა, თუ არადა შეუძლია არჩევანი გააკეთოს. ზოგისთვის მისაღებია, 1 წელი იქნება, თუ 2 წელი გადაწიოს, რომ არ დაავადდეს, მანამდე კიდევ საშველი მოევლინება.

ერთი რამ ვიცოდეთ, ვინც აიცრა, ის სხვას რომ ეჩხუბება რატომ არ იცრებიო, იმას რა აწუხებს, თვითონ ხომ აიცრა? ზედმეტ, ზოგადსაკაცობრიობაზე არ დამიწყონ საუბარი, რომ თურმე, ყველაზე ზრუნავენ. აიცრა და შენ დაავადებული კაციც ვეღარ დაგაავადებს. ვინც არ აიცრა, იმან იცის, რომ შეიძლება დაავადდეს.

დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც ძალიან ბევრი ადამიანი ავადდება, შეხედეთ, რა ხდება. ვინც იპრანჭებოდა და არ იცრებოდა, იმათ დაიწყეს აცრა, ვისაც არ უნდოდა, მაინც არ იცრება. ერთმანეთი ხომ არ უნდა დავჭამოთ? ვერასდროს აიძულებ ადამიანს, გააკეთოს ის, რაც არ უნდა. ნებისმიერი ასეთი იძულება, სიკეთის მომტანი არ არის, – აღნიშნავს მეუფე იაკობი.

მისივე თქმით, საზოგადოება გახლეჩილია და ერთმანეთი არ უნდა ვაკრიტიკოთ.

– ჩემ მაგალითზე ვამოწმებ ანტისხეულებს სამ კვირაში, ან თვეში ერთხელ, 8 თვეა, სტაბილურად იზრდება. ბევრად მეტი მაქვს, ვიდრე ორჯერ საუკეთესო ვაქცინით აცრილებს 70 დღეში რომ აქვთ. ვინც მოიხადა, ალბათ, სანამ ვაქცინაციას მოვრჩებით, მილიონ ნახევარიც გავხდებით. დანარჩენებიც იცრებიან.

ერთმანეთს ნუ გავაკრიტიკებთ. ნურაფერზე დავაძალებთ, იქნება ეს აცრა თუ არ აცრა. სამწუხაროდ, კონკრეტულ სამსახურებში მიდის იძულებაც, რომ აიცრან, თუ არადა, მიდიან სამსახურებიდან.

კორონავირუსთან ერთობლივი ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ადამიანი არ არის დამნაშავე, როდესაც არ არის დაავადებული.

აცრილებს თუ მოხდილებს რატომღაც გვეშინია იმ ადამიანების, რომლებიც დღეს ჯანსაღად არიან. ღმერთმა ჯანსაღად ამყოფოს ისინი. თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, რაც უნდათ, თუ არადა, ნუ დავაძალებთ ერთმანეთს.

გწამს? შენი არჩევანია, უფალთან შენ ხარ პასუხისმგებელი, სხვას სხვანაირად სწამს. ეს ისედაც გახლეჩილი საზოგადოება კიდევ არ გავხლიჩოთ, – აღნიშნავს მეუფე იაკობი.

# ამირან გამყრელიძე: „ორსულების დაცვის ერთადერთი საშუალება არის აცრა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნოდ მოსახლეობას აცრის სარგებლიანობის შესახებ უნდა ესაუბრებოდეს.

– ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პარტია იქნება, წინასაარჩევნო აგიტაციის თუ კამპანიის პროცესის დროს, ყველაზე მთავარი გზავნილი მოსახლეობისადმი უნდა იყოს აცრა, რომელმაც უნდა დაამთავროს პანდემია. ამიტომ, ყველა პოლიტიკოსმა საუბარი უნდა დაიწყოს აცრით, რომ აცრა იცავს ადამიანებს ჰოსპიტალიზაციისგან, რეანიმაციისგან, სიკვდილისგან, ამიტომ, ყველა ადამიანი წავიდეს და აიცრას. ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით ვაქცინაა, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისი თქმით, ასევე კარგი ინიციატივაა ის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს იყვნენ ცნობილი ექიმები, რომლებიც საზოგადოებას ვაქცინაციის შესახებ ზუსტ ინფორმაციას მიაწვდიან.

– ასევე ძალიან კარგი ინიციატივაა ის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, შეხვედრების მიმდინარეობისას იყვნენ ცნობილი ექიმები, ვისიც ხალხს სჯერა, რომლებიც ძალიან კარგად აუხსნიან მოსახლეობას, თუ რა არის აცრა, რა სიკეთე დევს იმუნიზაციაში, განსაკუთრებით კი, კოვიდის საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესში, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისი შეფასებით, ამჟამად ქვეყანაში არსებული ეპიდვითარება საკმაოდ მძიმეა.

– ქვეყანაში რთული ეპიდვითარებაა. სტაბილიზაციის მცირედი ელემენტები არის, მაგრამ ინფიცირების მაჩვენებელი კვლავ მაღალ ნიშნულზეა, დაახლოებით 3-4 ათასის ფარგლებში, რაც ქვეყნისთვის ძალიან ბევრია. ყველაზე მძიმე ინდიკატორი, რაც გახლავთ სიკვდილიანობა, ჯერჯერობით მაღალია და ალბათ, კიდევ მაღალი დარჩება დაახლოებით სულ მცირე, 2 კვირის განმავლობაში, რადგან საკმაოდ ბევრი ავადმყოფია ინტენსიური თერაპიის პალატებში და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ბევრია დამოკიდებული.

სტაბილიზაციის მცირედი ნიშანი შესაძლოა, გამოიწვია ის, რომ შეზღუდვები დაწესდა, უფრო გამკაცრდა აღსრულების თაობაზე ზედამხედველობა, ვაქცინაციის ტემპსაც არაუშავს, ავგუსტის განმავლობაში 23 ათასი აცრა გვაქვს საშუალოდ დღიურად, მაგრამ კიდევ მეტია საჭირო.

რაც მთავარია, ყველაფრის მიუხედავად, მოქალაქეები მაინც არ იცავენ ორ მთავარ რეგულაციას – ეს არის პირბადის ტარება, რომელიც 50%-ს ქვემოთაა ბოლო კვირის მონაცემებით. ადამიანები ძალიან უგულებელყოფენ პირბადის ტარებას, თუმცა ის დახურულ თუ ღია სივრცეში ყველაზე ძლიერი დამცავი საშუალებაა. მეორე, მიუხედავად ზომების სერიოზული გამკაცრებისა, მაინც არის თავყრილობები, მასშტაბური წვეულებები, ქორწილები და ა.შ.

სამწუხაროდ, ამის შედეგიც უკვე არის ეპიდაფეთქებები. ჩვენ ვიცრებით ერთმანეთისთვის, რომ ერთმანეთის სიცოცხლე დავიცვათ, სხვა გამოსავალი არ არის. ასევე, აუცილებელია, რომ ყველა ადამიანს ეკეთოს პირბადე, – განაცხადა გამყრელიძემ.

# „ჩემს ცოლს დანა მოვუქნიე და მხარში გავარტყი, ის მაგიდასთან ჩაიკეცა“

## ცოლის მკვლელობისთვის მალხაზ მხეიძეს 15 წელი მიუსაჯეს

ქუთაისის სასამართლოში დასრულდა მეუღლის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის საქმის განხილვა. მოსამართლემ მალხაზ მხეიძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



მკვლელობა გასული წლის დეკემბერში სამტრედიაში მოხდა.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა მსჯავრდებულის ჩვენება, სადაც მან დანაშაული აღიარა.

„ჩემს მეუღლეს ეძინა საძინებელში, მამაჩემს მისაღებ ოთახში. მე ჩავრთე ტელევიზორი და ვუყურებდი სხვადასხვა გადაცემებს ძალიან დაბალ ხმაზე, ვინაიდან პატარა სახლია და სხვებიც რომ არ შემეწუხებინა. იქნებოდა დაახლოებით 05:00 საათი, როდესაც მომინდა საჭმელი, რის გამოც გავაღვიძე ჩემი მეუღლე და მოვთხოვე ჩემთვის გაემზადებინა საჭმელი და გაეწყო სუფრა. ჩემი მეუღლე ადგა, ჩაიცვა და გამოვიდა სამზარეულო ოთახში, იქვე მაგიდაზე არსებული მუქტარიანი დანით დაჭრა ჩემ მიერ სახლში მოტანილი ძეხვი.

მე მას ვუსაყვედურე – მარტო ძეხვი რატომ დაჭერი, თევზიც დაგეჭრა-თქო, რაზეც ჩემმა მეუღლემ მისაყვედურა, საჭმელი შენითაც გეჭამა, მაგის გამო როგორ გამაღვიძე ამ შუაღამისასო. ამაზე გავბრაზდი და დავიყვირე – სახლში მოტანილის გაკეთებაც არ გინდა– თქო. ავიღე მაგიდიდან ზემო აღნიშნული მუქტარიანი დანა, რომელიც დავიჭირე მარჯვენა ხელში და შეშინების მიზნით მოვიქნიე მეუღლის მიმართულებით, თუმცა ჩემ მიერ მოქნეული დანა მოხვდა მარცხენა მხარეს, კისრის არეში, საიდანაც წამოუვიდა სისხლი.

მივხვდი, რომ ჩემი მეუღლე დავჭერი და დანა გავაგდე ხელიდან. ჩემმა მეუღლემ დაიკივლა – მგონი მომკლაო, და ჯერ საძინებელში გავიდა, შემდეგ ისევ დაბრუნდა სამზარეულოში და მაგიდასთან ჩაიკეცა.

ამ დროს ოთახში შემოვიდნენ მამაჩემი და ჩემი ძმა, რომლებსაც ვუთხარი, რომ დანა დავარტყი, მგონი მოვკალი, სასწრაფოს დავურეკოთ და ექიმი მოვიყვანოთო“ – წერს ჩვენებაში მალხაზ მხეიძე და იქვე ადასტურებს, რომ თავად დანაშაულის ადგილი სასწრაფოს მოსვლამდე დატოვა და მიიმალა.

ბრალდებული სამართალდამცველებმა რამდენიმე საათში დააკავეს.

# ქობულეთში ზღვაში 23 წლის ახალგაზრდა დაიხრჩო

ზღვაში 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო. შემთხვევა 27 აგვისტოს ქობულეთში მოხდა. სავარაუდოდ, მან ცურვა არ იცოდა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# პოლიციამ ტრანსგენდერი ქალის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავა

პოლიციამ ტრანსგენდერი ქალის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ნ.ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალი გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებაში ედება.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომობილით გადაადგილებისას, ქვეითად მყოფ ტრანსგენდერ ქალს – 1993 წელს დაბადებულ ჯ.ც.-ს, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, პნევმატური იარაღიდან გასროლით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნ.ქ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულის სახით დააკავეს.

ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი.

გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დაიწყო“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ლეჩხუმში დეიდაშვილები ავარიაში დაიღუპნენ

ლეჩხუმში ავარიას 2 ახალგაზრდა ემსხვერპლა. ინფორმაციას ცაგერის მუნიციპალიტეტი ავრცელებს.

„დიდი ტრაგედია დატრიალდა ლეჩხუმში,...დღეს ყველა თვალცრემლიანია ჩვენთან. ავტოავარიას ემსხვერპლა ორი ახალგაზრდა – გიორგი სანთელაძე და ლაშა ცხვედიანი. თანავუგრძნობთ მათ ოჯახებს და ჩვენს კუთხეს ასეთი ახალგაზრდების დაკარგვას!“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

გიორგი და ლაშა დეიდაშვილები იყვნენ.

„სისხლი გამეყინა წუხელ. რატომ შემოდით ჩემს ცხოვრებაში. გული მტკივა, გული. ლაშუ, რა საოცარი ბიჭი იყავი, გიო, ჩემი ალენ დელონი, ხომ გიძახოდი სულ. რა ქენით ბიჭებო ეს, დეიდაშვილებმა. ღმერთო, როგორი კეთილშობილი ახალგაზრდები იყავით. დედა ღვთისმშობელო მარიამ, გევედრები მე ცოდვილი, ეს ანგელოზი ბიჭები შეიფარე შენი კალთის ქვეშ“ – წერენ სოციალურ ქსელში.

# ჩოხატაურში ავტოგასამართ სადგურზე თავდასხმისთვის ბ.ღ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის აბაშის რაიონულ სამმართველოსთან ერთად 1999 წელს დაბადებული ბ.ღ. მუქარის გამოყენებით ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, აბაშის მუნიციპალიტეტში დააკავეს.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, დაბა ჩოხატაურში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურს ყაჩაღურად თავს დაესხა, იარაღის მუქარით ოპერატორს ფული გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბ.ღ. საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული ფულის ნაწილი და დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მუქარის გამოყენებით ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# „ჩემი ქმარი კლინიკაში თავისი ფეხით მივიდა და ფიცრით გამოგვისვენეს“

## გარდაცვლილი დედა-შვილის ოჯახი ჩივილს აპირებს

კორონავირუსით გარდაცვლილი დედა-შვილის, 31 წლის კობა ჯაშოიანისა და 54 წლის ნონა ემირიძის ოჯახის წევრები ექიმებს არასწორ მკურნალობაში ადანაშაულებენ.



ჭირისუფალთან პირველი ინტერვიუ „ტვ პირველმა“ ჩაწერა.

ოჯახი არ გამორიცხავს, რომ ექიმების დასჯის მოთხოვნით საქმე სასამართლოში წაიღებს.

ოჯახის მონაყოლის თანახმად, 31 წლის მამაკაცი ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალიდან დროზე ადრე გაწერეს და კოვიდსასტუმროში გაუშვეს, სადაც კობა ჯაშოიანის მდგომარეობა დამძიმდა, კლინიკაში ხელმეორედ გადაყვანილი ბიჭის გადარჩენა კი ექიმებმა ველარ შეძლეს.

– 2-3 საათი მანქანაში სიცხიანი იყო. როგორც კი კორონავირუსი ოფიციალურად დაუდასტურდა, „ბი ემ სი“-ს საავადმყოფოში მაშინვე დაწვა. საკუთარი ფეხით წავიდა კლინიკაში, იქ სამი დღე გააჩერეს, უთხრეს, კარგად ხარო და კოვიდსასტუმროში გაწერეს, სადაც კიდევ უფრო დამძიმდა. 30 ივლისს შევიდა ჩემი ქმარი „ბაოში“ და გუშინ, მისი ფეხით შესული კაცი, ფიცრით გამოგვისვენეს. არ ვიცი, იქ რა მოხდა, რატომ ვერ უმკურნალეს, რატომ ვერ გადაარჩინეს. ეს მოხდა მათი პროტოკოლის გამო. სამი კვირის განმავლობაში სიცხისგან იწვებოდა, არ ვიცი, იქ ანტიბიოტიკებს უკეთებდნენ თუ არა, – აცხადებს კობა ჯაშოიანის მეუღლე.

– ცოლ-შვილი დამიღუპეს, – უთხრა ტვ პირველს 54 წლის ნონა ემირიძის ქმარმა.

ექიმების არასწორ მკურნალობაზე გარდაცვლილი დედა-შვილი ოჯახის წევრებს ესაუბრებოდნენ, არსებობს ამის ამსახველი სმს მიმოწერები.

# ბათუმში მანქანა ამოტრიალდა

28 აგვისტოს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმში. ქალაქის ცენტრში მანქანა ამოტრიალდა.

ინციდენტი ლუკა ასათიანისა და ჭავჭავაძის ქუჩების გზაჯვარედინზე მოხდა.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, რის შედეგადაც ერთი ამოტრიალდა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

ავარიას არც მსხვერპლი და არც დაშავებული ჰყავს.

საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო.

# გარდენია ქორწილის გამო 2.000 ლარით დაჯარიმდა და დაილუქა

შრომის ინსპექციამ „გარდენია“ დააჯარიმა.



28 აგვისტოს გვიან ღამით გამართულ ქორწილთან დაკავშირებით შესული შეტყობინების საფუძველზე, ინსპექციამ ობიექტზე ტერიტორიის მფლობელი გამოავლინა და 2.000 ლარით დააჯარიმა.

„გარდენია“ დროებით დაილუქა.

– ადგილზე ქორწილი იყო. აღნიშნული ფაქტი გუშინ, ღამის საათებში დაფიქსირდა, რის გამოც შრომის ინსპექციამ ობიექტი დააჯარიმა. დღეს დილით უკვე დალუქვის ღონისძიებები მიმდინარეობს, – განმარტავენ შრომის ინსპექციის სამსახურში.

ზედამხედველობა დადგენილებით აკრძალულ სოციალურ-გასართობ საქმიანობაზე გრძელდება.

კოვიდ-რეგულაციების დარღვევისთვის, ბოლო 72 საათის განმავლობაში 5 ობიექტი დაილუქა და 6 დაჯარიმდა. ინფორმაციას შრომის ინსპექციის სამსახური ავრცელებს.

როგორც შრომის ინსპექციის სამსახურში აღნიშნავენ, 2 კვირის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, რეგულაციების დარღვევისთვის 20-ზე მეტი ობიექტი დაილუქა და დაჯარიმდა 46 ბიზნესოპერატორი, მათ შორის 29 იურიდიული და 17 ფიზიკური პირი.

„ერთ ობიექტთან მიმართებით შრომის ინსპექციამ პრევენციული დალუქვის მექანიზმი გამოიყენა. კერძოდ, ბარი ღონისძიების გამართვამდე, დაგეგმილი გასართობი აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დალუქა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილ დარღვევებს შორის კვლავ სოციალური და ფართომასშტაბიანი გასართობი ღონისძიებები სჭარბობს. დაჯარიმებულებს შორის 5 იურიდიული და 1 ფიზიკური პირია. ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, რეგულაციების დარღვევისთვის 20-ზე მეტი ობიექტი დაილუქა. დაჯარიმდა 46 ბიზნესოპერატორი. მათ შორის, 29 იურიდიული და 17 ფიზიკური პირი.

შრომის ინსპექციის სამსახური დაწესებული შეზღუდვების აღსრულებაზე ზედამხედველობას მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს. პროცესში ინსპექციასთან ერთად, შემოსავლების, სურსათის უვნებლობის, ადგილობრივი მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურები, ასევე, მუნიციპალური ინსპექცია, შსს-ს კრიმინალური და საპატრულო პოლიციაა ჩართული“ – აღნიშნულია შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული შემდგომი გასაღების მიზნით, მისი მართვის ქვეშ არსებული სატრანსპორტო საშუალებით ახორციელებდა სხვადასხვა დასახელების დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვას.

„საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 1.535 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 6.600 ლარს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“– ნათქვამია ინფორმაციაში.

# პოლიციამ დიდი ოდენობით იარაღი ამოიღო

## 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, მესტიის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში 3 პირი დააკავეს.

1989 წელს დაბადებული ნ. დ., 1975 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ვ.კ.-სა და 1991 წელს დაბადებულ თ.ჩ.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში ედებათ.

დანაშაულები 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნივთმტკიცებად ამოღებულია „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი რევოლვერი, კალაშნიკოვის სისტემის 1 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ერდოღანი: „თურქეთი მზად არის სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის“

— თურქეთი მზად არის სომხეთთან თანდათან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის მისი შემრიგებლური განცხადებების ფონზე.

ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა.

— სომხეთის ახალ მთავრობას წარმატებებს ვუსურვებ. ჩვენს რეგიონს კონსტრუქციული მიდგომა სჭირდება. თუნდაც უთანხმოება არსებობდეს, მეზობლური ურთიერთობების განვითარება საჭიროა ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე. ამიტომ შეგვიძლია ეტაპობრივად ურთიერთობების ნორმალიზება სომხეთთან, რომლის ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის, ამ მიმართულებით იაროს, — განაცხადა თურქეთის ლიდერმა.



მისივე თქმით, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის პირობების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფის შემდეგ.

— ასეთივე გაგებით სთავაზობს აზერბაიჯანი სომხეთს მოლაპარაკებებს ყოვლისმომცველი მშვიდობის მისაღწევად. ასეთი მიდგომების დამსახურებით, გაჩნდება ახალი შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიის განსავითარებლად.

მზად ვართ ვიმუშაოთ ყველა მხარესთან, ვისაც სურს გამოიყენოს ასეთი ისტორიული შანსი. დღის წესრიგშია ჩვენი შეთავაზება ხუთეულის ან ექვსეულის პლატფორმის შესახებ თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანის და სომხეთის მონაწილეობით. ჩვენ მასში ჩართვა შევთავაზეთ საქართველოსაც. თუკი ასეთი მოედანი იქნება ორგანიზებული, რეგიონში გაცილებით სიმშვიდე იქნება, — განაცხადა ერდოღანმა.

მანვე დასძინა, რომ რეგიონში აუცილებელია გაკეთდეს სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რომლებიც დააკავშირებს ქვეყნებს და ამგვარად ბევრი პრობლემა მოგვარდება.

— ჩვენ ვლადიმერ პუტინთან ერთად განვიხილეთ ეს საკითხები და შევთანხმდით. ასევე, აზერბაიჯანის პრეზიდენტთანაც. ირანში პრეზიდენტი შეიცვალა და ამ თემას მასთანაც განვიხილავთ, — განაცხადა ერდოღანმა.

# ზელენსკი და ბაიდენი ერთმანეთს 31 აგვისტოს შეხვდებიან

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრაისმა დაადასტურა, რომ 31 აგვისტოს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ვაშინგტონში აშშ-ის ლიდერს ჯო ბაიდენს შეხვდება. განხილული იქნება საკითხები, რომლებიც აშშ-უკრაინის ურთიერთობებს ახალ საფეხურზე აიყვანს.



პრაისმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება უფრო ენაწყლიანი იყო. მან ჟურნალისტებს განუცხადა:

— ბაიდენთან შეხვედრისას განხილული იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკის და, რა თქმა უნდა, სამხედრო საკითხები. უკრაინის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს!

# რობერტ კენედის მკვლელი შესაძლოა ციხიდან გაათავისუფლონ

კალიფორნიის შტატის შეწყალების კომისიამ მხარი დაუჭირა სირხან სირხანის გათავისუფლებას, რომელმაც 1968 წელს რობერტ კენედი მოკლა.

თავის დროზე სასამართლომ სირხანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ მალე კალიფორნიის შტატში სიკვდილით დასჯა გაუქმდა და სირხანსაც სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

რობერტ კენედი ადრე მოკლული პრეზიდენტის ჯონ კენედის ღვიძლი ძმა იყო. რობერტ კენედი მას შემდეგ მოკლეს, რაც მან გამოაცხადა, რომ პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა და პრაიმერიზში გაიმარჯვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# ჟორჟინიო უეფას რჩეულია



უეფამ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები და მწვრთნელები დაასახელა. საზეიმო ცერემონიალი სტამბოლში გაიმართა.

წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელის წოდებისთვის გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, ლონდონის ჩელსის 2 ფეხბურთელი ჟორჟინიო და ნგოლო კანტე, ასევე ფინალისტის, მანჩესტერ სიტის ნახევარმცველი კევინ დე ბრუინი იბრძოდნენ. უეფამ საუკეთესოდ ჟორჟინიო დაასახელა.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელად კი, ჩელსის გერმანელი თავკაცი თომას ტუხელი იქნა მიჩნეული.

**უეფას წლის რჩეულები გახდნენ:**

**საუკეთესო ქალი ფეხბურთელი:** ალექსია პუტელიასი (ბარსელონა);
**საუკეთესო მამაკაცი მეკარე:** ედუარდ მენდი (ჩელსი);
**საუკეთესო ქალი მეკარე:** სანდრა პანიოსი (ბარსელონა);
**საუკეთესო მამაკაცი მცველი:** რუბენ დიაში (მანჩესტერ სიტი);
**საუკეთესო ქალი მცველი:** ირენ პარედესი (პსჟ);
**საუკეთესო მამაკაცი ნახევარმცველი:** ნგოლო კანტე (ჩელსი);
**საუკეთესო ქალი ნახევარმცველები:** ალექსია პუტელიასი (ბარსელონა);
**საუკეთესო მამაკაცი თავდამსხმელი:** ერლინგ ჰალანდი (დორტმუნდი);
**საუკეთესო ქალი თავდამსხმელი:** ჯენი ერმოსო (ბარსელონა);
**საუკეთესო ქალი მწვრთნელი:** ლუის კორტესი (ბარსელონა);
**უეფას პრეზიდენტის ჯილდო:** კოპენჰაგენის გმირები (დანიის ნაკრები).

# ანდრეი პეტრაკოვი: „რუსეთიდან არავის გამოვიძახებ“



უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ალექსანდრ პეტრაკოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის ჩემპიონატიდან ფეხბურთელებს არ გამოიძახებს.

**ანდრეი პეტრაკოვი:**

— გულწრფელად გეუბნებით, ამ დროისთვის რუსეთის ჩემპიონატიდან ფეხბურთელების გამოძახების საკითხს არ განვიხილავ. იცით რატომ? დაახლოებით თებერვალში სახლში ვიჯექი, პანდემია იყო, არ ვმუშაობდი და ჩემს მეუღლეს ვუთხარი — გარეთ გავალ, ქალაქში გავივლი. კიეველი ვარ და წავედი, ფეხით ვისეირნე. მივედი წმინდა მიხეილის ეკლესიასთან, ვნახე ანდრიევსკაიას აღდგენილი ტაძარი, წავედი სოფიაში და იქ დაღუპული ჯარისკაცების ფოტოსურათებია. ვნახე, რამდენი ადამიანი დაიღუპა, გოგონები, ბიჭები, ამდენი სახელი და ამდენი ხალხის ფოტო. მივხვდი, რომ ახლა არ შეიძლება ფეხბურთელები ნაკრებში რუსეთიდან იყოს. არც შერიგება შეიძლება, ამდენი ბავშვი და ობოლი დარჩა. ახლა — არა, არავითარ შემთხვევაში. შეიძლება დროის გასვლის შემდეგ კი, რამდენადაც საჭირო იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე არა.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ პეტრაკოვმა უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანდრეი შევჩენკო შეცვალა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

# მაგი განძის საპოვნელად ახალშობილის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ძებნაა გამოცხადებული მაგზე, რომელსაც ახალშობილის მსხვერპლად შეწირვა სურდა.

დაახლოებით ექვსი თვის წინ, მაგმა გაიცნო სოფელ ასგირპურის მკვიდრი ჯაბარ ახმედი. მან მამაკაცი დაარწმუნა, რომ მის სახლში განძი იყო დამალული და მის პოვნაში დახმარებას შეჰპირდა. ძებნა რამდენიმე თვე გრძელდებოდა და საბოლოოდ წარუმატებლად დასრულდა. ამ დროის განმავლობაში ახმედმა მაგს 200 ათასი რუპია გადაუხადა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

ამ დროისთვის კი მამაკაცის ცოლს ბავშვი შეეძინა. მაგმა მაშინვე მისი მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა, რათა განძის ძებნა გაეგრძელებინათ. ის ახმედს და მის ცოლს დაემუქრა, რომ უარის შემთხვევაში, საკუთარ ჯადოქრულ ძალას მათ წინააღმდეგ მიმართავდა. ამის შემდეგ მათ დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს, თუმცა მაგმა მიმალვა მოასწრო.

# ელისაბედ II-ის მცველი ახალწვეულთა გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს



პოლიციამ ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის მცველი კოლდსტრიმის გვარდიიდან, ახალწვეულების გაუპატიურებაში ეჭვმიტანილად ცნეს და დააპატიმრეს.

ახალგაზრდებმა დიდი ბრიტანეთის უძველეს პოლკში სამსახური ორი წლის წინ დაიწყეს. ამ სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები სამეფო გვარდიას განეკუთვნებიან, რომელიც ხელისუფლების წევრების უსაფრთხოებას და ასევე სასახლეების დაცვას ახორციელებს სხვადასხვა ცერემონიების დროს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდასხმა სამხედროთა შორის უინძორის ციხესიმაგრის მახლობლად ნათლობის პროცესის დროს მოხდა. ამ დროისთვის ეჭვმიტანილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. საქმის სხვა დეტალები უცნობია. გამოძიება გრძელდება.

# სპილოები სოფელში შეიჭრნენ და ხანდაზმული წყვილი და მათი შვილიშვილი გადათელეს



ხანდაზმული ცოლ-ქმარი და მათი შვილიშვილი დაიღუპა გარეული სპილოების ჯოგის თავდასხმის შედეგად, რომელსაც ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ჰქონდა ადგილი.

გარეული ცხოველები ანუპურის ოლქში მდებარე სოფელს თავს 26 აგვისტოს დაესხნენ. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ცხრა გარეული სპილო სოფელში შეიჭრა, გზად ყველაფერს ამტვრევდნენ და ანადგურებდნენ. მათი მსხვერპლი გახდნენ ხანდაზმული კაცი და ქალი და მათი შვილიშვილი.

ოლქის სატყეო მეურნეობის სამსახურში განაცხადეს, რომ სპილოები ჩხატისგარხის შტატიდან მოვიდნენ. სოფლის მცხოვრებლებმა ერთხელ მოახერხეს მათი თავდასხმის მოგერიება, მაგრამ 26 აგვისტოს დილით ადრე ისინი დაბრუნდნენ და სოფელს თავს დაესხნენ. ამ დროისთვის რეგიონის ყველა მცხოვრები გაფრთხილებულია აგრესიული სპილოების ჯოგის თაობაზე.

დაღუპულების ოჯახი სახელმწიფოსგან კომპენსაციას მიიღებს.

# ქალს ზოოპარკში სიარული შიმპანზესთან მეტისმეტი სიახლოვის გამო აუკრძალეს



ბელგიის ქალაქ ანტვერპენის ზოოპარკმა ქალს ამ დაწესებულებაში სიარული მამრ შიმპანზესთან მეტისმეტი სიახლოვის გამო აუკრძალა.

შიმპანზეს, სახელად ჩიტას, 38-დან 30 წელი ზოოპარკში აქვს გატარებული. თავდაპირველად ის ოჯახში ცხოვრობდა, მაგრამ როდესაც წამოიზარდა მასთან გამკლავება მეტისმეტად გართულდა და ამიტომ პატრონებმა ის ზოოპარკს გადასცეს. მართალია მან მოახერხა ვოლიერში ცხოვრებასთან შეგუება, მაგრამ სხვა შიმპანზეებთან ურთიერთობაში ყოველთვის პრობლემები ექმნებოდა. 2008 წელს ჩიტამ სერიოზული დაზიანებები მიიღო სხვა მამრ შიმპანზეებთან ჩხუბის შედეგად.

ოთხი წლის განმავლობაში ჩიტას ყოველ კვირას ნახულობდა ედი ტიმერმანსი. ქალი ამტკიცებს, რომ მას ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა მაიმუნთან. ქალის და პრიმატის ურთიერთობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ერთმანეთს ხელებს უქნევდნენ და ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ ვოლიერის მინის კედლიდან. ტიმერმანსი დარწმუნებულია, რომ შიმპანზეს ის უყვარს.

თუმცა ზოოპარკის თანამშრომლებმა ქალს განუცხადეს, რომ ის ველარ შეძლებდა მაიმუნთან ურთიერთობას, ვინაიდან ჩიტა სხვა შიმპანზეებმა მის გამო საკუთარი გუნდიდან გარიცხესა და ის დროის უმეტეს ნაწილს სრულ მარტოობაში ატარებს.

— მე მიყვარს ეს ცხოველი და მასაც ვუყვარვარ, მე მეტი სხვა არაფერი გამაჩნია. რატომ სურთ მათ ამის წართმევა, — განაცხადა ტიმერმანსმა.

მიუხედავად აკრძალვის გადაწყვეტილებისა, ედი მაინც დადის ზოოპარკში. მართალია მისი და ჩიტას ურთიერთობა განსაკუთრებულია, თუმცა საერთო ჯამში, შიმპანზე ცნობილია თავისი კეთილგანწყობით ადამიანებთან მიმართებაში.

# ქალს ღუმელში ბუტერბროდების მომზადება სიცოცხლის ფასად დაუჯდა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ პრესტონში ქალი პიჟამათი ღუმლის კარს გამოედო, როდესაც მასში ცხელ ბუტერბროდებს ამზადებდა და სასიკვდილოდ გაიგუდა.

18 აგვისტოს კორონერის სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 24 იანვარს 52 წლის ჯეკი მიშელ კოტრილი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. მისი პიჟამა ღუმლის კარს გამოედო და ქალი გაიგუდა.



ჯეკი კოტრილი გარდაცვლილი მისმა ნათესავმა ჯოშ ბროკლბენკმა აღმოაჩინა, რომელიც იმ მომენტში სახლში მასთან ერთად იმყოფებოდა. დეიდა სამზარეულოში გავიდა მისთვის ბეკონიანი ბუტერბროდის მოსამზადებლად. გარკვეული დროის შემდეგ ბროკლბენკმა შენიშნა, რომ კოტრილი ღუმლის კართან ეგდო. სიკვდილის მიზეზი გახდა გაგუდვა, რომელიც გამოიწვია ქალის პიჟამის ღუმლის კარზე გამოდებამ.

ასევე გაირკვა, რომ კოტრილს გარდაცვალებამდე ექვსი წლით ადრე ინსულტი ჰქონდა გადატანილი, თუმცა ქალს მოძრაობის კოორდინაციის დარღვევის რაიმე ნიშნები არ ჰქონდა.

# მამაკაცი უნდობლობის გამო კინაღამ მოგების გარეშე დარჩა

ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიის ქალაქ დარვინის მცხოვრები კინაღამ ლატარიაში მოგებული 1,3 მილიონი ავსტრალიური დოლარის გარეშე დარჩა, ვინაიდან მიღებულ ინფორმაციას მოგების თაობაზე არ დაუჯერა და ის მისი გამასხარავების მცდელობად ჩათვალა.




— ჩვეულებრივ, გათამაშების დასრულებისთანავე ვიღებ წერილს, რომელშიც ნათქვამია, თუ რამდენად ახლოს ვიყავი მთავარი პრიზის მოგებასთან, — განაცხადა ავსტრალიელმა.

მაგრამ ლატარიის მორიგი გათამაშების შემდეგ მამაკაცს გაეღვიძა, ლატარიის დანართში შევიდა და ნახა, რომ ექვსივე რიცხვი დაემთხვა.

— გავიფიქრე, რომ ეს მეტად უცნაური იყო, შემდეგ კი საპრიზო თანხა დავინახე და ჩავთვალე, რომ ეს ჩემი გათამაშება გახლდათ, — განაცხადა მამაკაცმა.

ვერც მან და ვერც მისმა მეუღლემ ეს მაშინვე ვერ დაიჯერეს. ავსტრალიელი მოგებული თანხის ნაწილით იპოთეკის დაფარვას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადაინახავს, როდესაც ის და მისი მეუღლე პენსიაზე გავლენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველოს ნაკრები კოსოვოს ორი ცვლილებით დახვდება



სექტემბრის დასაწყისში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 3 მატჩს გამართავს: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე შინ, 2 სექტემბერს, კოსოვოს დაუხვდება; 5 სექტემბერს, ესპანეთის ქალაქ ბადახოსში მასპინძლებს შეხვდება; 8 სექტემბერს კი ბულგარეთში ამხანაგურად ითამაშებს.

ამ მატჩებისთვის მზადებას გუნდი დღეიდან დაიწყებს, მაგრამ ნაკრების თავკაცს ადრე გამოცხადებულ შემადგენლობაში უკვე მოუხდა 2 ცვლილების გაკეთება.

შეკრებაზე ვერ ჩამოდის შემტევი ხვიჩა კვარაცხელია. ითქვა, რომ ყაზანის რუბინის ფეხბურთელს ტრავმა აქვს. თუმცა, მისი ჯანმრთელობის საკითხი, ისევე, როგორც სატრანსფერო ამბები, საეჭვოდ ბუნდოვანია.

კვარაცხელიას ნაცვლად, ეროვნულ გუნდში გამოძახებულია გიორგი წიტაიშვილი, რომელსაც მანამდე იმიტომ არ უხმეს, რომ ტრავმა ჰქონდა.

შეგახსენებთ, წიტაიშვილმა წლის დასაწყისში მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ აქამდე ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია და დებიუტის მოლოდინშია.

ასევე დებიუტს ელოდება ბათუმის დინამოელი გიორგი ზარია, ვინაც მისივე თანაგუნდელი გიორგი ფანცულაია ჩაანაცვლა. სსფ-ს პრესსამსახურის ცნობით, მიზეზი აქაც ტრავმაა.

ამასობაში, კოსოვოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ შალანდემაც დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის 3 მატჩისთვის მოამზადებს. კოსოვო საქართველოში სტუმრობის შემდეგ 5 სექტემბერს საბერძნეთს მიიღებს, ხოლო 8-ში, ასევე შინ, ესპანეთთან ითამაშებს.

კოსოვოს ნაკრების მწვრთნელი კარგა ხნის განმავლობაში აგვიანებდა შემადგენლობის დასახელებას. ამის მიზეზი ის აკრძალვები იყო, რომელსაც წამყვანი ქვეყნების საფეხბურთო კლუბები შექმნილ ვითარებაში ფეხბურთელების გაშვებას ისეთი ქვეყნების ნაკრებ გუნდებში, სადაც რთული კოვიდ-სიტუაციაა, ერიდებოდნენ.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კოსოვოს ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი. ერთადერთი დანაკლისი არბერ ზენელია, რომელიც ფრანგული რეიმსის ფეხბურთელია.

**შალანდეს არჩევანი ასეთია:**

**მეკარეები:** არიჯანეტ მურიჩი (ადანა, თურქეთი), ვისარ ბექაი (ტირანა, ალბანეთი), სამირ უიკანი (უკლუბოდ);

**მცველები:** მერგიმ ვოევოდა (ტორინო, იტალია), ფლორან ჰადერგონაი (ქასიმფაშა, თურქეთი), ამირ რაჰმანი (ნაპოლი), ფლორან ალიტი, მირლინდ კრიეზუ (ორივე ციურიხი, შვეიცარია), იბრაჰიმ დრეშევიჩი (ჰერენვენი, ნიდერლანდები), ბეტიმ ფაზლიჟი (სტ. გალენი, შვეიცარია), დავიდ დომგჟონი (ლუცერნი, შვეიცარია), ლირიმ კასტრატი (უიპეშტი, უნგრეთი);

**ნახევარმცველები:** ჰეროლინდ შალა (სტაბეკი, ნორვეგია), ზიმერ ბიტიკი (ქონია, თურქეთი), ვალონ ბერიშა (რეიმსი, საფრანგეთი), ბესარ ჰალიმი (რიგა, ლატვია), ბერსანტ სელინა (დიჟონი, საფრანგეთი), მილოტ რაშიცა (ნორვიჩი, ინგლისი), ელბასან რაშანი (კლერმონი, საფრანგეთი), ფლორან ლოშაი (კრაკოვია, საფრანგეთი), ლირიმ კასტრატი (დინამო, ხორვატია), ფლორან მუსლია (ჰანოვერი, გერმანია);

**თავდამსხმელები:** ვედად მურიქი (ლაციო, იტალია), ასტრატ სელმანი (ჰამარბი, შვედეთი).

# რონალდუ მანჩესტერში დაბრუნდა



2021 წლის ზაფხულის ტრანსფერები ფეხბურთის მოყვრულებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ. 13 „ოქროს ბურთის" მფლობელმა ორმა ფეხბურთელმა ლიონელ მესიმ და კრიშტიანუ რონალდუმ კლუბი შეიცვალა.

მესის ამბავი უკვე იცით – არგენტინელი პარი სენ ჟერმენში გადავიდა, ხოლო რონალდუ 12-წლიანი პაუზის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნდა. იუნაიტედი და იუვენტუსი 25 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. კონტრაქტი ორწლიანია.

არადა, ყველაფერი ბოლო მომენტში შეიცვალა – დილით რონალდუ მანჩესტერ სიტიში უნდა გადასულიყო, მაგრამ საღამოს იუნაიტედში აღმოჩნდა.

როგორც ირკვევა, ტრანსფერში გადამწყვეტი როლი ითამაშა სერ ალექს ფერგიუსონის ზარმა. თავის დროზე, რონალდუ სწორედ სერ ალექსის ინიციატივით გადავიდა ლისაბონის სპორტინგიდან მანჩესტერულ გრანდში, სადაც მეგავარსკვლავად იქცა.

**კლუბმა სასწრაფოდ გამოაქვეყნა მისი გადაბირების ინფორმაცია:**

– მანჩესტერ იუნაიტედი მოხარულია გაცნობოთ, რომ ტურინის იუვენტუსთან შეთანხმება მიღწეულ იქნა კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერთან დაკავშირებით. კლუბში ყველა მოუთმენლად ელის კრიშტიანუს დაბრუნებას მანჩესტერში.

კრიშტიანუ „ოქროს ბურთის" ხუთგზის მფლობელია და კარიერას 30-ზე მეტი ტიტული აქვს მოპოვებული. მათ შორის: ჩემპიონთა ლიგის 5 თასი, 7 საჩემპიონო ტიტული ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში; პორტუგალიის ნაკრებთან ერთად კი, ევროპის ჩემპიონი გახდა.

შეგახსენებთ, რომ რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედში 2003-09 წლებში თამაშობდა. „ოლდ ტრაფორდზე" ასპარეზობისას, კრიშტიანუმ „წითელი ეშმაკების" მაისურით 292 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 118 გოლი გაიტანა.

# ჩემპიონთა და ევროპის ლიგები დაჯგუფდნენ




თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში უეფას ჩემპიონთა და ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

ჩემპიონთა ლიგაზე საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ბ ჯგუფი, რომელიც „სიკვდილის ჯგუფზე" უარესი ჩანს: მადრიდის ატლეტიკო, ლივერპული, პორტუ და მილანი.

არადა, არის სხვა საინტერესო ჯგუფებიც.

**ა ჯგუფი:** სიტი, პსჟ, ლაიფციგი, ბრიუგე;

**ბ ჯგუფი:** ატლეტიკო, ლივერპული, პორტუ, მილანი;

**ც ჯგუფი:** სპორტინგი, დორტმუნდი, აიაქსი, ბეშიქთაში;

**დ ჯგუფი:** ინტერი, რეალი, შახტარი, შერიფი;

**ე ჯგუფი:** ბაიერნი, ბარსელონა, ბენფიკა, დინამო (კ);

**ფ ჯგუფი:** ვილიარეალი, მანჩესტერი, ატალანტა, იანგ ბოიზი;

**ჯ ჯგუფი:** ლილი, სევილია, ზალცბურგი, ვოლფსბურგი;

**ჰ ჯგუფი:** ჩელსი, იუვენტუსი, ზენიტი, მალმიო.

ჯგუფური ეტაპი 14 სექტემბერს დაიწყება და ბაიერნი-ბარსელონას მატჩით გაიხსნება, ხოლო ფინალი 28 მაისს სანკტ-პეტერბურგში გაიმართება.

ევროპა ლიგის ჯგუფური ეტაპზე ქართველი ფეხბურთელებიც ითამაშებენ.

ოთარ კიტეიშვილის შტურმი ბ ჯგუფში მონაკოს, პსვ-სა და სოსიედადს დაუპირისპირდება. ლაშა დვალისა და გიორგი ხარაიშვილის ფერენცვაროში კი, ჯ ჯგუფში ლევერკუზენს, სელტიკსა და ბეტისს შეხვდება.

**ევროპა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შედეგები ასეთია:**

**ა ჯგუფი:** ლიონი, რეინჯერსი, სპარტა, ბრონდბიუ;

**ბ ჯგუფი:** მონაკო, პსვ, სოსიედადი, შტურმი;

**ც ჯგუფი:** ნაპოლი, ლესტერი, სპარტაკი, ლეგია;

**დ ჯგუფი:** ოლიმპიაკოსი, აინტრახტი, ფენერბაჰჩე, ანტვერპენი;

**ე ჯგუფი:** ლაციო, ლოკომოტივი, მარსელი, გალათასარაი;

**ფ ჯგუფი:** ბრაგა, ცრვენა ზვეზდა, ლუდოგორეცი, მიდტიულანდი;

**ჯ ჯგუფი:** ლევერკუზენი, სელტიკი, ბეტისი, ფერენცვაროში;

**ჰ ჯგუფი:** დინამო (ზ), გენკი, ვესტ ჰემი, რაპიდი.

ევროპა ლიგის პირველი ტურის მატჩები 16 სექტემბერს გაიმართება, ხოლო ფინალი 2022 წლის 18 მაისს არის დაგეგმილი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# პარალიმპიადაზე პარაძიუდოისტებმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს

ტოკიოში პარალიმპიური თამაშები გრძელდება, სადაც ქართველი პარასპორტსმენებიც მონაწილეობენ და ჩვენი დელეგაციის ყულაბაში უკვე 3 მედალია და 3-ვე ვერცხლის.

პარამოფარიკავე ნინო თიბილაშვილის შემდეგ, 29 აგვისტოს მედლები პარაძიუდოისტებმა – ანა ქალდანმა (70კგ) და რევაზ ჩიკოიძემ (+100 კგ) მოიპოვეს.

ქალდანმა პირველ ეტაპზე მექსიკელ ალვარეს რუვალკაბა წუთსა და 8 წამში იპონით დასცა ტატამზე, ხოლო ნახევარფინალში მასპინძელი კაზუსა ოგავა 2 წუთსა და 3 წამში. ფინალში ქართველი პარაძიუდოისტი ბრაზილიელი ალანა მალდონადოსთან დამარცხდა.

ჩიკოიძემ პირველ ეტაპზე იაპონელი მასაკი 2 წუთსა და 16 წამში დააიპონა, ხოლო ნახევარფინალში უზბეკ შირინ შარიპოვს გაფრთხილებებით სძლია და ფინალის საგზური მოიპოვა. გადამწყვეტ ბრძოლაში ჩვენებურმა ჭიდაობის დროს ტრავმა მიიღო და ირანელ მოჰამად ხეიროლაზადესთან შებოჭვაზე მოჰყვა.

# შედეგები

## 28 აგვისტო

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-არსენალი ... 5:0
ასტონ ვილა-ბრენტფორდი ... 1:1
ბრაიტონი-ევერტონი ... 0:2
ვესტ ჰემი-კრ.პალასი ... 2:2
ნორვიჩი-ლესტერი ... 1:2
ნიუკასლი-საუთჰემპტონი ... 2:2
ლივერპული-ჩელსი ... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ნოტინგემი ... 1:1
კარდიფი-ბრისტოლი ... 1:2
ბარნსლი-ბირმინგემი ... 1:1
ქპრ-ქოვენთრი ... 2:0
ლუთონი-შეფილდი ... 0:0
მიდლსბრო-ბლექბერნი ... 1:1
მილუოლი-ბლექპული ... 2:1
პრესტონი-სუონსი ... 3:1
ფულემი-სტოკი ... 3:0
ჰადერსფილდი-რედინგი ... 4:0
ჰალი-ბორნმუთი ... 0:0
პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი ... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-აინტრახტი ... 1:1
აუგსბურგი-ლევერკუზენი ... 1:4
კიოლნი-ბოხუმი ... 2:1
მაინცი-ფიურტი ... 3:0
შტუტგარტი-ფრაიბურგი ... 2:3
ბაიერნი-ჰერტა ... 5:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ჰანოვერი ... 4:0
ჰაიდენჰაიმი-ჰამბურგი ... 0:0
კილი-აუე ... 3:0
შალკე-ფორტუნა ... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ბილბაო ... 0:1
სოსიედადი-ლევანტე ... 1:0
ელჩე-სევილია ... 1:1
ბეტისი-რეალი ... 0:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიხონი-მირანდესი ... 2:1
ლეგანესი-იბიცა ... 1:2
ოვიედო-ტენერიფე ... 0:0
პონფერადინა-ხირონა ... 2:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ბოლონია ... 0:0
ლაციო-სპეცია ... 6:1
ფიორენტინა-ტორინო ... 2:1
იუვენტუსი-ემპოლი ... 0:1

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ფროზინონე ... 0:2
პერუჯა-ასკოლი ... 2:3

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნიცა-ბორდო ... 4:0
მარსელი-სტ.ეტიენი ... 3:1

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ნიმი-კაენი ... 0:0
ტულუზა-ვალანსიენი ... 1:0
გენგამი-აიაჩო ... 1:1
კევიი-პარიზი ... 0:1
ნანსი-ოსერი ... 1:4
ნიორი-ამიენი ... 0:0
პო-დიჟონი ... 2:0
როდეზი-დიუნკერკი ... 2:2
ბასტია-ლე ავრი ... 0:0
სოშო-გრენობლი ... 1:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

კამბური-ტვენტე ... 2:0
იგლაზი-სპარტა ... 2:0
პსვ-გრონინგენი ... 5:2
ტილბურგი-ზვოლე ... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ვიზელი-ბოავიშტა ... 1:1
პორტუ-აროუკა ... 3:0
ფამილიკაო-სპორტინგი ... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ბეერსხოტი ... 5:2
ბრიუგე-სტ.ტრუიდენი ... 0:1
ეუპენი-სერენი ... 1:2
სემ ჟილი-სტანდარდი ... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-გაზიანთები ... 2:0
ბაშაქშეჰირი-ქაისერი ... 0:1
ბეშიქთაში-ქარაგუმრუქი ... 1:0
ჰატაი-ალანია ... 5:0

**ჰატაის მეორე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-ტიროლი ... 2:1
ალტახი-ვოლფსბერგერი ... 1:2
ჰარტბერგი-ზალცბურგი ... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-ჰართსი ... 0:2
მოზერველი-დანდი ... 1:0
ჰიბერნიანი-ლივინგსტონი ... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ციურიხი ... 3:3
სიონი-ლუგანო ... 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ბოლესლავი ... 1:0
ლიბერეცი-ზლინი ... 0:1
სლოვაცკო-პარდუბიცე ... 2:1
სპარტა-ჩესკე ... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-კრაკოვია ... 1:2
ლეხია-რადომიაკი ... 2:2
ლეხი-პოგონი ... 1:1
გურნიკი-პიასტი ... 0:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-მეზეკოვეშდი ... 2:0
ფერენცვაროში-დებრეცენი ... 4:2
ფეჰერვარი-მტკ ... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ინგულეცი-მარიუპოლი ... 3:0
მეტალისტი-დნიპრო ... 1:2
დინამო-კოლოსი ... 7:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიოკი-იორებრო ... 2:0
დეგერფორდი-მიალბი ... 0:2
ვარბერგი-ჰალმშტადი ... 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიონდალენი-ლილესტრიომი ... 1:2
ბრანი-ჰაუგესუნდი ... 1:3

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ოსმალეთის სულთანი; 2. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა სიმღერითურთ, სრულდებოდა ახალ წელს; 3. ხელოვნური მარმარილო; 4. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 12. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 15. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარიის ერთობლიობა; 16. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში.

**თარაზულად:** 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 8. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 9. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 13. მუსლიმთა სასულიერო პირი; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აეროპორტი პარიზში; 21. კომბინაცია პოკერში; 22. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 23. სერბი კინორეჟისორი; 24. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დაკა; 2. პოლკა; 3. გუაში; 5. ბელუჩი; 6. ლაზარეთი; 9. ლოსაბერიძე; 10. მირანგულა; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. ზენიტი; 18. წათე.

**თარაზულად:** 1. დნეპრი; 4. იმბეცილი; 7. ძელქვა; 8. შერბური; 12. ასაჰი; 13. უშქარი; 15. ბაგეტი; 17. ერი; 19. მანსანარესი; 20. გენია; 21. ჰერეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სკანსენი; 2. ადიდასი; 3. კინტო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. გამბუზი; 11. ექსტრაქცია; 12. სიღნაღი; 15. შარლემანი; 16. გრემიო; 17. პოლიცია; 20. ბანგი.

**თარაზულად:** 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9. თეზისი; 13. სოია; 14. სქოლიო; 18. ინტერპოლი; 19. ბოდბე; 21. გაუდა; 22. კონცხი; 23. მადრიგალი; 24. გრიზაილი.

# სამგლოვიარო განცხადებები

დალი და პეტრე ბერაიები ოჯახით მწუხარებას გამოთქვამენ უსაყვარლესი ადამიანის, მეგობრის

**ელიზბარ ლომინაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1248

ევრო — 3.6738

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2825

100 რუსული რუბლი — 4.2196

## ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსათვის




## ფილიპე კოუტინიო: „ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრა“



ბარსელონას ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ განაცხადა, რომ მას ფეხბურთის თამაში მოენატრა და ის ყოველთვის ცდილობდა, მოედანზე დაბრუნებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მას ტრავმა ამის საშუალებას არ აძლევდა:

– ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ჩემთვის ძალიან რთული იყო და მიწევდა იმ ფაქტთან შეგუება, რომ ბარსელონას ვერ ვეხმარებოდი, თუმცა ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი დასრულდებოდა.

## მასიმილიანო ალეგრი: „მოგება რონალდუს გარეშეც შეგვიძლია“



იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა, რომ მის გუნდს კრიშტიანო რონალდუს გარეშეც შეუძლია გამარჯვებების მოპოვება და ემპოლისთან შეხვედრაში ეს კარგად გამოჩნდა:

– ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კრიშტიანოს გარეშეც შეგვიძლია გამარჯვებების მოპოვება და ყველამ უნდა იცოდეს, რომ იუვენტუსი ერთ ფეხბურთელზე დამოკიდებული არასოდეს იქნება.

## პსჟ ერლინგ ჰოლანდით ინტერესდება



პსჟ დორტმუნდის ბორუსიის ნორვეგიელი ფორვარდით ერლინგ ჰოლანდით ინტერესდება და თუ პსჟ მბაპეს დაემშვიდობება, მაშინ პირველი კანდიდატურა პარიზელებისთვის ერლინგ ჰოლანდი იქნება, რომელიც ევროპაში თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

ჰოლანდი ჯერჯერობით ბორუსიას ღირსებას იცავს და ამ გუნდის დატოვებას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ალიგატორი ახლოს მისულ მამაკაცს თავს დაესხა და უკბინა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-მაიერსის ვაკე-ჰატჩის პარკის მახლობლად 60 წლის მამაკაცს ალიგატორი თავს დაესხა.

ხანშიშესული მამაკაცი მრავალრიცხოვანი მცირე წყალსატევების გასწვრივ მიმავალ ბილიკზე სეირნობდა და შემთხვევით მეტისმეტად ახლოს მივიდა ალიგატორთან. შედეგად იმით განაწყენებული რეპტილია, რომ მის ტერიტორიაზე შეიჭრა, მამაკაცს თავს დაესხა.

გამვლელმა, რომელიც ამ ყოველივეს თვითმხილველი გახდა, სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

– მამაკაცმა სერიოზული დაზინებები მიიღო მარცხენა ხელზე და სხეულის მარცხენა ნაწილში, – განაცხადა შტატის თევზის და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიის წარმომადგენელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 30 აგვისტოსათვის

**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალმა ჩვილი ბავშვი ექიმთან მიიყვანა და შესჩივლა:

– ექიმო, ბავშვი არ ჭამს.

– ძუძუთი კვებაზე გყავთ თუ ხელოვნურზე?

– ძუძუთი.

– გაიხადეთ და ლიფი მოიხსენით...

ექიმი დიდხანს სრესდა ძუძუსთავებს, ბოლოს ქალს მიუბრუნდა და ეუბნება:

– რძე არ გაქვთ და, რა თქმა უნდა, ბავშვი მშიერი იქნება.

– ექიმო, საერთოდ, მე ბავშვის დეიდა ვარ, მაგრამ კმაყოფილი ვარ თქვენთან ვიზიტით...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– რატომ გამოდიხარ ყოველთვის აივანზე, როდესაც შენი ცოლი მღერას იწყებს?

– არავის ეგონოს, რომ ვცემ!

●●●

ტელეფონი რეკავს და მამაკაცის ხმა ქალს ეკითხება:

– აღიარე, მოწყენილი იყავი, გენატრებოდი?

– ძალიან, და შენ რომელი ხარ?

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი შვილები ინტერნეტს მივაბარე, რომ ცხოვრებაში ხელი არ შემიშალონ.

– ინტერნეტს, თუ ინტერნატს?

– არა, სწორედ ინტერნეტს.

●●●

მეზღვაური ხანგრძლივი ცურვიდან ბრუნდება და ცოლს სმს-ს უგზავნის:

– ექვსი თვე სექსის გარეშე. შენსავე ინტერესებში იქნება თუ პირდაპირ ტრაპთან დამხვდები.

მალევე მიიღო საპასუხო სმს-ი:

– ექვსი თვე სექსის გარეშე. შენსავე ინტერესებში იქნება, თუ ტრაპიდან პირველი ჩამოხვალ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მარინა ჯანაშია 72 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს მსახიობი მარინა ჯანაშია 72 წლის გახდებოდა. ეს პირველი დაბადების დღეა, როდესაც ხელოვანის ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები მის გარეშე ხვდებიან.

მარინა ჯანაშია მისმა შვილიშვილმა მარიტა ჯანაშიამ გაიხსენა:

– 28 აგვისტო მისი ნამდვილი დაბადების დღეა, მხოლოდ საბუთებით აქვს დაბადების დღე 28 დეკემბერს, ამიტომ 2-ჯერ ვულოცავთ ხოლმე. ადრე დაბადების დღეს სულ 2 იანვარს იხდიდა, ამიტომ რაღაც პერიოდი სამჯერაც ვულოცავდით.

შარშან, ამ დღეს ერთად ვიყავით და წინა საქორწინო მღელვარება გვქონდა. ყველაზე კოშმარულ ფიქრებშიც კი ვერ წარმომედგინა, რომ ბოლო დაბადების დღე იყო, როცა ვხედავდი.

ჩვენი ბოლო საუბარიც მახსოვს და ვერც მაშინ წარმოვიდგენდი, რომ ბოლო იყო, თემოს გადაეცი ჩემგან, რასაც გეტყვიო, სამწუხაროდ, ვერ ვაძლევ თავს უფლებას ვთქვა, რა მითხრა, თუ თემოს მოუნდება, თვითონ გაგიმხელთ ერთ დღეს...

სულ მაგას გვიმეორებდა მე და თემოს, ერთი სული მაქვს, პატარა შვილთაშვილი როდის მეყოლებაო, ახლა ჰყავს და სულ 41 დღე აშორებდა, რომ გაეცნო. ზუსტად 41 დღის მერე დაიბადა ბექა.

მისი წასვლის დღიდან აკრძალული მაქვს ჩემ თავთან მასზე წარსულ დროში საუბარი და იგივენაირად იქნება მომავალში, ასე მირჩევნია.

სადღაც აქ არის, სულ ჩვენთან, სულ გვიყურებს, უბრალოდ, ვერ ვკონტაქტობთ.

## თინათინ წულაძე ბიჭის დედა გახდა



რეჟისორ ლევან წულაძის და მსახიობ მანანა კოზაკოვას ერთადერთი შვილი თინათინ წულაძე ბიჭის დედა გახდა.

ბავშვი გაგუას კლინიკაში დაიბადა, დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ახალშობილს მშობლებმა ანდრო დაარქვეს.

თინათინ წულაძე გიორგი კოტეტიშვილზე გასულ წელს დაქორწინდა.

წყვილმა ქორწილი კვარიათში გადაიხადა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გოგონამ ნიშნობა გააუქმა და საკუთარ თავზე დაქორწინდა



ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა 29 წლის პატრისია კრისტინმა საკუთარ თავზე იქორწინა, რათა დაემსხვრია სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, ქალები აუცილებლად 30 წლის ასაკამდე უნდა გათხოვდნენ.

2013 წელს კრისტინმა თავის ყოფილ შეყვარებულთან ნიშნობა შეწყვიტა, რადგანაც ჩათვალა, რომ მათი დაქორწინება შეცდომა იქნებოდა. მას შემდეგ ის ვერ შეხვდა ისეთ მამაკაცს, რომელზეც ცოლად გაყოლა ენდომებოდა და გადაწყვიტა ცხოვრება საკუთარი თავის სიყვარულისთვის მიეძღვნა.

გოგონამ საკუთარ თავთან ქორწილის დღე დანიშნა და მასზე ცხრა ყველაზე ახლო მეგობარი მიიწვია. მან იყიდა ნიშნობის ბეჭედი, კაბა და ყვავილების თაიგული განკუთვნილი პატარძლისთვის. ამ ყველაფერზე კრისტინმა მხოლოდ 49 ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

საზეიმო ღონისძიება პიკნიკის ფორმატში გოგონას სახლის მახლობლად მდებარე პარკში გაიმართა. კრისტინმა მასზე ნახევარსაათიანი ფიცი წარმოსთქვა.

– მე მიყვარს საკუთარი თავი, მიუხედავად ყველა დაშვებული შეცდომისა. საკუთარ თავს ვავალდებულებ, კეთილი იყოს საკუთარი თავის მიმართ, ვიქონიო საკუთარი თავის რწმენა და მივყვე ჩემ ოცნებებს და მნიშვნელობა არ აქვს, პატარა იქნება თუ დიდი, – განაცხადა გოგონამ.

## ლეოპარდი გადაღების დროს მოდელს თავს დაესხა და თავზე უკბინა



გერმანიის საქსონია-ანხალტის მხარის ქალაქ ნებრაში ლეოპარდი 36 წლის მოდელს ცხოველთა თავშესაფარში, სადაც შოუების და გამოფენების მონაწილე პენსიაზე გასულ ცხოველებს ათავსებენ, გამართული ფოტოსესიის დროს თავს დაესხა.

პოლიციის მონაცემებით, მოდელი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მან თავის არეში სერიოზული დაზიანებები მიიღო, როდესაც შევიდა ვოლიერში, სადაც ორი ლეოპარდი ტროი და პარისი ბინადრობს. ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში დაშავებული ჯესიკა ლეიდოლფის სახელითაა მოხსენიებული, ხოლო ვინ და რისთვის აწარმოებდა ცხოველთა თავშესაფარში გადაღებას, უცნობია.

– ის (ლეოპარდი) გამუდმებით მკბენდა ლოყაზე, ყურზე, თავზე, – განაცხადა მოდელმა.

თავშესაფრის მფლობელმა, 48 წლის ბირგიტ შტახემ, მომხდარის კომენტირებაზე უარი განაცხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. აუქციონ კრისტის მფლობელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 5. უძველესი ქართული დამწერლობა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. კორეული დამწერლობა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ეკვადორის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. აშშ-ში სახელმწიფო მდივანი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 8. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. სახელდახელოდ, ექსპრომტად თქმული ლექსი; 13. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 15. ტბა ჯავახეთში; 17. საერთო საქმეში შეტანილი წილი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. კონკურსის შედეგების შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 21. დამატებითი ჯილდო, პრემია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*